# სარბიელი

სპორტული გაზეთი
ხუთშაბათი 12 ივნისი 2003 №107 (1878)
ფასი 50 თეთრი





REUTERS დუბლინიდან

# ირლანდიამ 0:2 საქართველოს შეუკრებელ ნაკრებს რუსეთი დაავიწყა

# ოცნებაო, ჩემო ძველო...
## ქართველი და ქილა ერბო

საქართველოში ოცნება და ილუზია უყვართ, ჩვენთან იმედით ცხოვრობენ, საზრდოობენ. არადა, საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ხშირად საპნის ბუშტივით ქრება ილუზია, კვდება იმედი. ჩვენში მაინც ასე ცხოვრება ურჩევნიათ, უცნაური ქვეყანაა საქართველო...

გუშინ იმედიანი დღე გვქონდა, ოცნებით საოცარი განწყობა შევქმენით. ჩვენ დიდი გამარჯვება გვსურდა, დარწმუნებული ვიყავით, რომ მივიღებდით მას, მაგრამ ის კი დაგვავიწყდა, რომ გამარჯვებას საფუძველი სჭირდება და რა იყო ჩვენი საფუძველი? მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ოთხმოცდაათწუთიანი დაჩოქება. მოვლენა, რომელიც ეფექტური მალამოსავით შეგვერგო მარცხდაჩვეულებს, მაგრამ წუთით მაინც ხომ გაგვივლია გულში — ერთი თამაშით გუნდი არ კეთდება. ალბათ, გვიფიქრია ამაზე, მაგრამ ძნელია ოცნებით დატყვევებული ქართველის შეჩერება. ახლა კი ადვილია იმის თქმა, რომ დუბლინში ბაქიბუქით ჩასული შუშაკელების ამბიცია თუნდაც იმ ყრმა ლის არ ეყოფოდა სასაცილოდ, ორიოდე წუთით რომ იბურთავა საქმემომთავრებულ მატჩში. ახლა იმის თქმაც ადვილია, რომ ჩვენ ოცნებით ჩაველით ირლანდიასთან საომრად. მარტო ოცნებით კი ომში არ მიდიან.

ირლანდიისთვის საქართველო ჯგუფის აუტსაიდერი, საშუალოზე დაბალი კლასის მეტოქე იყო მატჩის წინ და ასეთი დარჩა მატჩის შემდეგაც.

მაშინ, როდესაც ქართული ტელეარხები ინტერაქტიულ გამოკითხვებს ატარებდნენ, სადაც ოცნებაშეპყრობილ ქართველთა 90 პროცენტს თავისი გუნდის გამარჯვებისა სჯეროდა, „ლენსდაუნ როუდზე" შუშაკის გუნდი უიარაღოდ რჩებოდა — საათობით, დღეობით ნაგროვები იმედი რამდენიმე წუთში მოკვდა. მოკვდა ჩაუქი კარის გიჟური სრბოლით, ჯადო-კინის განსწავლულობით, ყვლთმიანი მხიარული ბიჭის დოჰერტის ალალი თავურით — პირველი ტაიმის ბოლოს ოცნების ბოლო ნაპერწკალი რომ ჩაუქრო ქართველებს. შუშაკის გუნდს სხვა იარაღი არ აღმოაჩნდა ირლანდიასთან საომრად. უიარაღოს კი ყოველთვის კლავენ ომში.

ირლანდიამ ირლანდიურად დაიწყო — ბურთის სწრაფად ამოტანა, მოკლე პასით მეტოქის ნახევარზე ჩარბენა და ფლანგური ჩაწოდებები. ბუნებრივია, შუშაკელებს მოწინააღმდეგის ასეთი დებიუტი გათვლილი ჰქონდათ და შეძლებისდაგვარად მზად დაუხვდნენ „მწვანე ტალღას". საიმედო იყო კალაძე, ზუსტი და ბრძოლის ჟინით ანთებული — ხიზანიშვილი. ამ ორის ძალისხმევით ირლანდიელებს მატჩის დაწყებიდან ოცი წუთის თავზე ჩვენი კარისკენ ჭენების ჟინი დაუცხრათ, თუმცა ამ დროში რამდენიმე სახიფათო მომენტით მაინც გაკაწრეს მეტოქე.

პირველად მე-5 წუთზე შეეძლოთ საგოლედ გაწევა „სამყურებს", მაგრამ ლომაიასთან ჭიდილში კინმა უმისამართოდ ჩაჰკიდა ბურთი კარისკენ. ამ მომენტიდან ორ წუთში კი ამისულაშვილის გაუფრთხილებლობით ვერ ისარგებლა საჯარიმოში მყოფმა კარსლიმ. საგოლე შანსი ირლანდიას მე-13 წუთზეც ჰქონდა, მაგრამ რობი კინის ჩახლართულ-ეფექტური იერიშისას ოშიმ გააცუდა თავური.

საქართველო მე-16 წუთზე ხიზანიშვილის განსწავლულობამ იხსნა აშკარა გოლისგან — დაბადებიდან მორბენალი სტივენ კარის გამჭოლ პასს „ხიზანა" დროულად დაუხვდა, თორემ გაწოლილი ლომაია უღონო იქნებოდა დასარტყმელად შემართული კინის შესაჩერებლად.

საქართველომ თამაშის დალაგება მეტოქის მოდუნების ხარჯზე შეძლო, მაგრამ გამქცევი და გონიერი ასათიანის ნაცვლად პასების განაწილება რეხვიაშვილმა ითავა, რასაც, ფაქტობრივად, თავი ვერ გაართვა ჩვენი ნაკრების საყრდენმა და ხშირად მისი შეცდომების გამოსწორება ასათიანს უხდებოდა, მას კი უფრო და უფრო მეტი ენერგია ეკარგებოდა, რაკიღა ასეთ ვითარებაში მოედნის თითქმის ორმოცდაათმეტრიან მონაკვეთზე უხდებოდა ბრძოლა. თუმცა ასათიანი ეფექტური იყო ამ ბრძოლაში და ქართველთა შორის „ლენსდაუნ როუდზე" მეომართაგან ყველაზე ღირსეულად ეჭირა თავი.

ასათიანმა შექმნა ის პირველი მომენტი, გული რომ გაუმაგრა ქართველებს — თავდაუზოგავი შოთა არველაძის პასისას, ორ მცველმოტოვებულ მალხაზს მცირედ აუცდა ყუმბარისებური გასროლილი.

ირლანდიამ მეტოქის გამოწვევა მიიღო და მალე კილბეინმა მეტეორივით ჩაუშხუილა დიდავას და ბურდულს, თუმცა ისევ ხიზანიშვილმა გამოასწორა თანაგუნდელთა შეცდომები. ხიზანიშვილი „მეორე სართულზეც" ყოჩობდა და ორ-ორი კუთხურ-ჯარიმის ჩამფუშველმა ლამის წყობიდან გამოიყვანა ირლანდიელები.

ტაიმის დასრულებას ბევრიც არ უკლდა, ქართველთა დაცვამ სტივენ კარის მორიგი ჯარიმისას ოსტატური ამოსვლით ერთბაშად ოთხი მწვანემაისურიანი რომ დატოვა თამაშგარედ, მაგრამ ამ მომენტიდან წუთიც არ იყო გასული, ქილვაშებიანმა ესპანელმა არბიტრმა საეჭვო ვითარებაში რომ დააჯარიმა სტუმარი. ისევ ჩაკიდული საჯარიმოში და კალაძე გატყდა დოჰერტისთან ჭიდილში, ლომაიამაც ვერ იხსნა გუნდი გოლისგან და „ლენსდაუნ როუდმა" პორტუგალიის გზა დაინახა.

ამ გოლამდე რამდენიმე წუთით ადრე ასათიანმა ლამის ლამაზ ზღაპარში მოგვახვედრა — მალხაზმა შეტევაში ჩართული კალაძის პასი მიიღო, მოხდენილი სოლოთი ოთხი მეტოქე დაიხვია და კვლავაც მცირედით აუცდა ყუმბრისებური გასროლილი...

დოჰერტის გოლისას ქართველებს შოკი არ სწვევიათ, პირიქით, ლამის სწრაფადვე გაათანაბრეს — დემეტრაძის კუთხურისას არველაძემ დაჰკრა ვარდნაში ეფექტურად, მაგრამ მარკო პოლოზე ათჯერ სწრაფად მოხეტიალე სტივენ კარი გადაუდგა კარში შემავალ ბურთს.

პირველის მსგავსად საქართველომ მეორე ტაიმიც ყურებჩამოყრილმა დაიწყო. ირლანდიამ ნაადრევად სცადა საქმის მომთავრება, მაგრამ სამეორეტაიმო პირველი საგოლე მომენტი ქართველებმა შექმნეს, თანაც როგორი... ბურთმა როგორც იქნა ასათიანამდე მიაღწია და მალხაზიც შეუპოვრად დაიძრა მეტოქის კარისკენ — ისევ ლამაზი დრიბლინგი, მოჭრილი, თუმცა ძლიერი დარტყმა და ბურთი კვლავაც სასწაულებრივ აცდა შეი გივენის კარს. გოლის დრო დამდგარიყო და ისევ ირლანდიამ გაიტანა — საპასუხო შეტევისას ქართველთა დაცვა ჩაფლავდა, პოზიციადაკარგულმა ხიზანეიშვილმა ხელი ვერ შეუშალა რობი კინს, ირლანდიელმა ხელით გაისწორა ბურთი და მერელა შეაგდო კარში, თუმცა კინის ხელი რა მოსატანია, როცა ტაბლოზე 2:0 ენთო.

თამაში წაგებული იყო. ყოჩაღი ხიზანიშვილით, ჩაუქი ასათიანით, თანაგუნდელთა არაზუსტი პასებით ნერვებდაწყვეტილი, ბრძოლის აზარტით შეპყრობილი არველაძით და შეცვლაზე შესული დარასელიას ირლანდიელთა კარისკენ ერთი-ორი გასროლილით საქართველო არ იყო მატჩის შემობრუნებელი.

იმედი მოკვდა და იქვე ჩაისახა, მატჩის შემდეგ ქართველ ფეხბურთელებს ხეირიანად სუნთქვაც არ ჰქონდათ აღდგენილი, სატელევიზიო ინტერვიუში მთელ საქართველოს რომ განუცხადეს, არაუშავს, წინ სამი მატჩია და თუ სამივეში გავიმარჯვებთ, პორტუგალიაში გამგზავრების შანსი გვექნებაო.

ვიოცნებოთ? არ ღირს. ეს შესარჩევი ეტაპი წაგებულია, ჩვენს დროში ფუჭი ოცნება კი მეტად სახიფათოა...



REUTERS დუბლინიდან

რობი კინი და ზურაბ ხიზანიშვილი შესაძლოა თანაგუნდელები გახდნენ

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. მეათე ჯგუფი

დუბლინი. 11 ივნისი. 23. 30 საათი. ლენსდაუნ როუდი. 36 000 (ტევადობა 34 000)

## ირლანდია 2:0 საქართველო

1:0 დოჰერტი (43), 2:0 კინი (59)

1 გივენი

მწვრთნელი ბრაიან კერი

2 კარი — 4 ბრინი — 5 კანინგემი — 3 ოში

7 კარსლი — 8 ჰელი — 6 ჰოლანდი — 11 კილბეინი

9 დოჰერტი — 10 კინი

11 შ. არველაძე — 10 დემეტრაძე

9 ასათიანი

5 ამისულაშვილი — 8 ბურდული

7 რეხვიაშვილი — 6 დიდავა

4 კალაძე — 3 ხიზანეიშვილი — 2 ხიზანიშვილი

მწვრთნელი ივო შუშაკი

1 ლომაია

შეცვლა: დემეტრაძე – 13. დარასელია (60), დიდავა – 17. ალექსიძე (77), ჰელი – 13. კინსელა (86), დოჰერტი – 18. ა. ლი (88)

გაფრთხილება: ხიზანეიშვილი (37)

მსაჯები: ედუარდო იტურალდე გონსალესი; რაფაელ გერერო ალონსო, ანტონიო კარლოს პატერნა; ალფონსო პერეს ბურული (ყველა ესპანეთი)

უეფას დელეგატი: დანე იოსტი (სლოვენია)

ინსპექტორი: მიშელ ქერარი (საფრანგეთი)

ჯარიმა: 15-15; კუთხური: 5-4; კარისკენ დარტყმა: 4-5; კარში დარტყმა: 5-4; თამაშგარე: 2-8



REUTERS დუბლინიდან

გიგი დიდავა კევინ კილბეინმა გვარიანად აწვალა



კობა ინასარიძე

დუბლინიდან

### მწვანე ქალაქი

დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი — ირლანდიის ნაკრების მწვანე მაისურებით შემოსილი დუბლინელები მატჩამდე სამი-ოთხი საათით ადრე „ლენსდაუნ როუდის" მიდამოებს მოედვნენ და „სამყურათა" საქომაგოდ აძგერებული გულების გაგრილებას სახელგანთქმული „გინესის" წრუპვით ეშურებოდნენ. გვარიანად შეზარხოშებულმა ფანობამ თამაშის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე შეავსო „ლენსდაუნის" ტრიბუნები და იქაურობაც მწვანედ „შეიღება".

მცირერიცხოვან ქართველობას კი გულს ახალი, უსიამო ამბავი გვიმძიმებდა...

### ...ქინქლაძეც ავად გამხდარა?

საქართველოს ნაკრების განაცხადში ალექსანდრე იაშვილისა და გიორგი ქინქლაძის გვარები ვერ ამოვიკითხეთ. იაშვილის უთამაშებლობა მოსალოდნელიც იყო — ფრაიბურგელი გუშინწინაც შეუძლოდ გახლდათ და მისი მომჯობინება თურმე ვერაფრით შეძლეს. ქინქლაძეს კი ვარჯიშებზე უილაჯობის არაფერი ეტყობოდა და მისი უთამაშებლობაც ამად გავიკვირვეთ. ჩვენების ბანაკიდან გამოსული ოფიციალური ცნობით, გიორგი ნასადილევს კუჭს შეუწუხებია, ეს ვერსია მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ივო შუშაკმაც დაადასტურა, მიკითხვა-მოკითხვით და ჩაკირკიტებით კი ის შევიტყვეთ, რაც ერთგვარ სენად შეჰყრია ქართველ ფეხბურთელთა არცთუ მცირე ნაწილს — ივო შუშაკს ქინქლაძე სათადარიგოდ გაუმწესებია, რასაც ჯერ კიდევ დერბელის გულისწყრომა და სანაკრებო მზადყოფნაზე უარი გამოუწვევია.

ერთი სიტყვით, შუშაკი „ლენსდაუნს" ჩვიდმეტი ფეხბურთელით ეწვია, ამათგან ცამეტმა საკუთარ თავზე გამოსცადა რობი კინისა და მისი „სამყურა" ამხანაგების ძალა.

### ხიზანას ჰოთვარიანტი

ამ ძალამ ალმართი აზნა, ირლანდიელთა მონდომებამ ქართველებისას აჯობა და 36 ათასმა ქომაგმაც გვარიანად გაიხარა. ამ 36 ათას კაცში ისეთებიც იყვნენ, რომელიმე გუნდის საქომაგოდ კი არა, საკუთარი საქმეების მოსაგვარებლად რომ ესტუმრნენ დუბლინს.

კარგა ხანია, გლაზგოს „რეინჯერსს" ზურაბ ხიზანიშვილი თავისთვის შეუგულებია და ჩვენებურის გაჩაფრება ოფიციალურად დუბლინში უნდა შემდგარიყო, მაგრამ ამ საქმიდან ჯერჯერობით არაფერი გამოდის. ჰოდა, თუ „რეინჯერსი" ყოყმანობს, იქნებ ეგ ბიჭი ლონდონში ჩამოვიყვანოთო, უთქვამს გლენ ჰოდლს და ზურას თამაშის სანახავად დუბლინს თანაშემწე მოუვლენია. გუშინ, ნამატჩევს „ტოტენჰემ ჰოთსპურის" სკაუტმა ხიზანიშვილს ჰოდლის სურვილი აცნობა და ვინძლო, ზურამაც გლაზგოს ნაცვლად სამამულეთში ამოჰყოს თავი.

### შუშაკმა ბიჭები დაზოგა

ივო შუშაკი ნამატჩევს რომ უგუნებოდ იქნებოდა, ცხადია, მაგრამ პრესკონფერენციაზე მაინც მხნედ გამოიყურებოდა და ვიდრე ჩვენს კითხვებს უპასუხებდა, ირლანდიელ კოლეგას გამარჯვება მიულოცა, მერე კი ეს თქვა:

„არ მეგონა, ირლანდიელები ალბანეთთან რთული მატჩის შემდეგ ძალების სრულად აღდგენას თუ შეძლებდნენ, მათ დღეს დამსახურებულად გაიმარჯვეს. მატჩის ბედი იმ ორმა საბედისწერო შეცდომამ გადაწყვიტა, ჩვენს დაცვას რომ მოუვიდა. თუმცა ბიჭებს მაინც ვერ ვუსაყვედურებ, მათ ყველაფერი გააკეთეს გასამარჯვებლად. ვფიქრობ, ჩვენ არ შეგვირცხვენია საქართველო".

ბრაიან კერმაც ლაპარაკი ალბანეთთან მატჩით დაიწყო: „შაბათის მერე კარგად დავისვენეთ და დღევანდელი შეხვედრისთვის საგანგებოდ მოვემზადეთ. საქართველო ალბანეთზე ძლიერი მეგონა და არც შევმცდარვარ, ქართველებმა ბევრი თავსატეხი გაგვიჩინეს, თუმცა ჩვენ საგოლე შანსები გამოვიყენეთ და სამი ქულითაც გავმდიდრდით".

ეროვნული ბიბლიოთეკა




REUTERS ჟენევიდან

რობი კინის საგოლედ მოქნეული




**ჩვენი ჯგუფი. VI ტური**

**შვეიცარია 3:2 ალბანეთი**

1:0 ჰაასი (10), 1:1 ლალა (23), 2:1 ფრეი (32), 3:1 კაბანასი (72), 3:2 შკელა (86პ)

შვეიცარია: შტილი, ბ. ჰაასი, ანშო (ცვისიგი 75), მ. იაკინი, ბერნერი, ფოგელი, კაბანასი, ვიკი (შპიხერი 64), ჰ. იაკინი, შაპუიზა, ფრეი (სელესტინი 83)

მწვრთნელი: იაკობ კუნი

ალბანეთი: სტრაკოშა, ბექირი, ჩიპი (კანა 46), ალიაი, კ. დურო (დრაგუშა 74), ჰასი, ლალა, შკელა, ბელაი, ბუში (რაკლი 62), ტარე

მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი

გაფრთხილება: ტარე, ბექირი, ლალა, ალიაი, ბერნერი

მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

26 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 6 | 3 | 3 | 0 | 12:7 | 12 |
| ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| რუსეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:9 | 7 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:11 | 5 |
| საქართველო | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |




REUTERS დუბლინიდან

# მწვანე სიხარული დუბლინში და ალბანეთის ვაიდუბლი




ბერნტ ჰაასის დაწყებული საქმე შვეიცარიელებმა გამარჯვებამდე მიიყვანეს



REUTERS ჟენევიდან

იაკობ კუნი



**დარჩენილი მატჩები**

6 სექტემბერი

ირლანდია — რუსეთი
საქართველო — ალბანეთი

10 სექტემბერი

რუსეთი — შვეიცარია
ალბანეთი — საქართველო

11 ოქტომბერი

რუსეთი — საქართველო
შვეიცარია — ირლანდია



ხუან ლაპორტა ბექჰემების ოჯახს სამოთხეს პირდება

# დრამა ნამდვილ ადამიანთა ცხოვრებიდან

## ხუან ლაპორტა: ბექჰემს ვაჩვენებთ პლაჟს, მთებს და ის დარწმუნდება, ბარსელონა საუკეთესოა

## მანჩესტერი: აჩვენეთ!

*„მანჩესტერ იუნაიტედმა" ოფიციალურად განაცხადა, რომ თუ „ბარსელონას" საპრეზიდენტო არჩევნებში ხუან ლაპორტა გაიმარჯვებს, დევიდ ბექჰემს კატალონიურ კლუბს მიჰყიდის.*

*„მოგვეცით 24 საათი და ბექჰემი „ბარსაზე" სიგიჟემდე შეყვარებული ადამიანი გახდება" — თქვა ლაპორტამ. მისი აზრი ბიზნესმენმა სანდრო როსელმა ასე განავრცო:*

*„თუ ის ჩვენთან მოსალაპარაკებლად ჩამოვა, ჩვენ ქალაქს ვაჩვენებთ, ხალხს შევახვედრებთ, კლუბში მივიყვანთ, გეგმებს გავაცნობთ, ვაჩვენებთ პლაჟსა და მთებს და გარწმუნებთ, დარწმუნდება, რომ ცხოვრებისა და ფეხბურთის თამაშისთვის ბარსელონაზე უკეთესი ადგილი არ არსებობს"*

ბიზნესმენი სანდრო როსელი ის კაცია, ვინც ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადის მოწყობაში დიდი როლი ითამაშა.

„მოლაპარაკებები მანჩესტერელთა კლუბის თავმჯდომარესთან, პიტერ კინიონთან, ოთხი კვირაა მიმდინარეობს და მინდა სიხარულით განვაცხადო, რომ შევთანხმდით. ასეთი სასიამოვნო გრძნობა არასდროს მქონია, რადგან ყველაფერი გაცილებით რთული იყო, ვიდრე ოლიმპიური თამაშების მოწყობა" — დასძინა მან, ჩვენ კი დავძენთ, რომ კატალონიის მშვენიერების გარდა ბექჰემს ბარსელონაში, ხუთ წელიწადში 32 მილიონი ინგლისური გირვანქით გამდიდრდება.

„ჩვენი მიზანი ბექჰემის ყიდვა, ესპანეთის ჩემპიონობა და შემდეგ ჩემპიონთა თასის მოპოვებაა" — აცხადებს ლაპორტა.

მაშ ასე, გუშინდელთან შედარებით ვითარება თვალშისაცემად შეიცვალა. იმდენად, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" აქციები 7 პუნქტით გაიზარდა და 158-ს მიაღწია, რაც ეკონომისტთა აზრით, გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ბექჰემის გაყიდვით კლუბი 30 მილიონ გირვანქას იძენს.

და, ნუ იფიქრებთ, რომ ბექჰემის გაყიდვით უშუალოდ „იუნაიტედის" ქონებას დააკლდება რამე. „იუნაიტედი" ხომ ფულს გარედან, ბილეთების გაყიდვით, სპონსორებისგან, სატელევიზიო უფლებებიდან და სხვა ასეთი ოპერაციებით იღებს, ხოლო ამ ოპერაციებს საეჭვოა რაიმე დაემუქროს.

ერთადერთი, ზარალი აზიაში იქნება, სადაც რეკლამირებულ ბექჰემზე შეყვარებული ხალხი „იუნაიტედის" შვიდნომრიან მაისურას და პლაკატებს აღარ იყიდის, მაგრამ არც ეს არის ტრაგედია: ბრიტანული ბაზარი აღმოსავლეთში ისეა ფესვგამდგარი, რომ ბექჰემის წასვლის გამო „იუნაიტედის" ატრიბუტიკის შეძენას არავინ შეწყვეტს. თუ შვიდი ნომერი არ გაიყიდება, გაიყიდება სხვა. ბოლოს და ბოლოს, კლუბი უფრო მყარი და ცნობილი ერთეულია, ვიდრე ერთი ფეხბურთელი.

ერთი სიტყვით, ვითარება შეიცვალა, მაგრამ მაინც აჯობებს ბოლო ათ დღეში მომხდარი ამბები ჩამოვწეროთ. ასე უფრო თვალსაჩინო გამოვა.

1 ივნისი: „30 მილიონი გირვანქა ბექჰემის სანაცვლოდ, ძალიან დიდი თანხა მგონია" — ამბობს ხუან ლაპორტა.

4 ივნისი: „იუნაიტედის" შეფს, პიტერ კინიონს ეკითხებიან, მართლა შეხვდა თუ არა „ბარსელონას" წარმომადგენლებს ბექჰემის თაობაზე სალაპარაკოდ. იგი პასუხობს: „ამას თუ დაწერთ, ვეჭვობ, ვინმემ თქვას, ეს რა სისულელე წერიაო".

იმავე დღეს ბექჰემის აგენტი ჯონ ჰოლმსი აცხადებს: „დევიდი ამბობს, რომ რჩება, თუმცა, ცხადია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს".

5 ივნისი: „არ ვუარყოფ, „მანჩესტერს" ბექჰემის ყიდვის პროექტი შევთავაზეთ". — ლაპორტა.

„ვადასტურებთ, ესპანურმა და იტალიურმა კლუბებმა ბექჰემის შესახებ მოგვმართეს" — „იუნაიტედის" წარმომადგენელი.

9 ივნისი: „ფულის ხარჯვის ბევრი უკეთესი გზა არსებობს, ვიდრე მისტერ ბექჰემის ყიდვაა" — განაცხადა „მილანის" პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ.

10 ივნისი: „არასდროს მითქვამს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედიდან" არსად წავალ" — ამბობს ამერიკაში დასასვენებლად წასული ბექჰემი.

ჩვენთვის უცნობია ამ სატრანსფერო საგიჟეთის დღეებში უგდებს, თუ არა ყურს დევიდ ბექჰემი მამამისს, ტედ ბექჰემს, მაგრამ გაზეთებმა მამის გამონათქვამებითაც რომ აავსეს გვერდები, ფაქტია.

„მე არ მინდა რომ სხვაგან გადავიდეს — თქვა უფროსმა ბექჰემმა — ვურჩევ დარჩეს, რადგან ძალიან მაღიზიანებს ერთი ადამიანის სურვილის გამო წასვლა რომ უწევს".

ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ ვისზეა საუბარი. რა თქმა უნდა, სერ ალექს ფერგიუსონზე, „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელზე. ახლა კი ხალხს მოვუსმინოთ. ჟურნალისტებმა ხალხიც გამოკითხეს:

„ბავშვობიდან აქ არის, აქ გაიზარდა და თუ წავა შოკში ვიქნები" — ამბობს მავანი სტუდენტი, სახელს და გვარს რა მნიშვნელობა აქვს.

„იგი მთელს ინგლისს დააკლდება. ის ძალიან კარგ იმიჯს გვიქმნიდა. ჩვენ ხომ საჩუქრებად სულ მასთან დაკავშირებულ ატრიბუტებს ვყიდულობთ. აქ ყველაფერი ბექჰემთანაა დაკავშირებული და ნუთუ „იუნაიტედი" მართლა გაყიდვას უპირებს?" — თქვა კორნუოლიდან ჩამოსულმა ადამიანმა.

„ვერ ვხედავ ფეხბურთელს, ვინც მის შეცვლას შეძლებს" — 14 წლის ქომაგი, „ოლდ ტრეფორდის" აბონემენტის მფლობელი.

„ბექჰემი ჩვენი სახეა, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ მისი გაყიდვა კომერციული მოსაზრებებით არის განპირობებული. თუ მასში მიღებული ფულით ორ-სამ კარგ მოთამაშეს იყიდიან, მაშინ ყველაფერი სწორად ყოფილა გათვლილი" — ბიზნესმენი, კომპანიის დირექტორი.

„თუ დიდძალ ფულს მოიტანს, გაყიდონ. თუ მისი გაყიდვა გუნდს გააძლიერებს, ყველა ფერგიუსონს გაამართლებს" — კლუბის გულშემატკივართა ასოციაციის თავმჯდომარე, ჯულს სპენსერი.

ინგლისელ ჟურნალისტებს ერთი შვედი, „ბარსელონას" ქომაგიც გადაეყარათ და იგი გახარებული გახლდათ. იყვნენ ისეთებიც, ვინც ამბობდა — რომელი ზიდანი ბექჰემია, თვით „მანჩესტერშიც" კი არ იყო საუკეთესოო.

ნუთუ მართლა მთავრდება ისტორია, რომელსაც საფუძველი 1986 წელს, ალექს ფერგიუსონის „იუნაიტედში" მისვლის დროს, დეკემბერში ჩაეყარა? მაშინ ბექჰემი, 11 წლის ლონდონელი ბავშვი, ბობი ჩარლტონის სახელობის ტურნირზე თამაშობდა და პირველად გავიდა „ოლდ ტრეფორდის" მინდორზე.

14 წლისა, ლონდონელი ბიჭი „მანჩესტერ იუნაიტედმა" ბავშვთა გუნდისთვის იყიდა და მანჩესტერში, ერთ-ერთ ოჯახში დაასახლა. კლუბის შეფებმა კარგად იცოდნენ ვის ბინაშიც ასახლებდნენ ბიჭს — სახლის პატრონი ქალბატონი მკაცრი ადამიანი ბრძანდებოდა და თუ საჭირო იყო, კარსაც ურდულით კეტავდა.

„იუნაიტედის" ძირითადი შემადგენლობის კარი კი ბექჰემისთვის, სერიოზულად, 1995-96 წლებში გაიხსნა. იმხანად და შემდეგ, მთელი ოთხი წლის განმავლობაში, მომღიმარი ვარსკვლავი — უკვე ინგლისის ნაკრების წევრი — დიდი მასწავლებლის, ალექს ფერგიუსონის გვერდით მორჩილად დადიოდა და ერთად გახდნენ ჩემპიონები.

1998 წელი. მსოფლიოს ჩემპიონატზე, არგენტინის ნაკრებთან შეხვედრაში „სიმეონეს და წიხლის" ცნობილი ინციდენტის შემდეგ ბექჰემს მთელი ინგლისი ლანძღავს, ფერგიუსონი კი ენითაუწერელ თანადგომას უცხადებს და დემონსტრაციულად უფორმებს ხუთწლიან კონტრაქტს. თითქოს ყველაფერი იდეალურადაა, მაგრამ...

ფრანგები ჭკვიანი ხალხია. მათ თქვეს: „ეძიეთ ქალი!"

დევიდ ბექჰემის შეყვარებული მეუღლე, პოპ ვარსკვლავი ვიქტორია ადამსი, ბიბლიურად რომ ვთქვათ, ქმარს ვაშლს აჭმევს — ფერგიუსონი პირველ გაღიზიანებას მაშინ ამჟღავნებს.

ცოლის ხელში დევიდი ეგრეთ წოდებული „სელებრითი" ხდება — იცვლება მისი ცხოვრების სტილი, დადის ბომონდის „ტუსოვკებზე", ტრიალებს მოდის, პოპის და ტელე წრეებში — ეს კი გლაზგოს ვიწრო ქუჩებში აღზრდილ ფერგიუსონს არ ეპიტნავება და 1999 წელს, ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი თამაშის წინ წვეულებაზე წასვლისთვის ფეხბურთელს ხელფასიდან უქვითავს. შემდეგ ბექჰემი ვარჯიშს აცდენს — როგორც თავად განმარტა, ბავშვი ჰყავდა ავად — რისთვისაც მწვრთნელი თავს რისხვას ატეხს, ბავშვთან ცოლი დარჩენილიყოო.

მაგრამ ყველაფერი გვარდება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მწვრთნელი ეგუება ფეხბურთელის „სხვანაირ ვარსკვლაობას", ვარცხნილობათა ცვლას, სვირინგებს, შოუებს, კოსტუმებს. ბექჰემს ინგლისის ნაკრების კაპიტნადაც ირჩევენ, ოღონდ, რაც გნებავთ ის თქვით და გლაზგოელი პროლეტარი პოდიუმის ბიჭთან ერთად დიდხანს ვერ მოძოვს.

გახსოვთ, წლეულს, თასზე „იუნაიტედს" „არსენალმა" რომ მოუგო, გასახდელში რა მოხდა? გაცეცხლებულმა მწვრთნელმა ბუცი ისროლა და ის ბუცი — ვინ იცის განგების ნება იყო — პირდაპირ ბექჰემს მოხვდა თავში.

შემდეგ „რეალთან" არ ათამაშა, მარცხენა ფრთაზე სოლსკიაერი ჯობიაო...

...როგორც ჩანს, 17 წლიანი ისტორია დასასრულს მიუახლოვდა. დღეს უკვე სხვა ამბავია, ინგლისური გაზეთების ფურცლებზე დევიდ ბექჰემის ისტორიამ ბოლო გვერდებიდან პირველზე გადაინაცვლა და ყველამ, ვისაც წერა ეხერხება, კალამი ააწრიპინა.

„ტაიმსმა" პირველი გვერდის ნახევარი მიუძღვნა ფეხბურთელს.

„ქორწინებისა და გაუგებრობის მელოდრამა" უწოდა ამ გაზეთის მესვეტემ ბექჰემიანას და აზრი ასე ჩამოაყალიბა:

„მისტერ ბექჰემი, სამეფო ოჯახს, ტონი ბლერს და გორდონ ბრაუნს თუ არ ჩავთვლით, დღეს ბრიტანეთში ყველაზე ცნობილი ადამიანია, მაგრამ ცხენებით ვაჭრობისა არ იყოს, იგიც ლამაზად გაფორმებული კომერციის ჩინებული ნაწილია და მის ფასს მალე გამოგვიცხადებენ".

შემდეგ „ტაიმსის" მიმომხილველი „ბარსელონასთან" დაკავშირებულ ამბებსაც იმეორებს და ყველაფრის გათვალისწინებით წინასწარმეტყველებს:

„ეს არის დრამა ნამდვილ ადამიანთა ცხოვრებიდან. იგი მრავალი მოულოდნელობისგან შედგება და მოულოდნელობებს კიდევ უნდა ველოდოთ, რაც უკიდურესად ნიჭიერ ადამიანთა (ბექჰემი და ვიქტორია ადამსი) ბედისადმი პრესის მუდმივ ყურადღებას გამოიწვევს. მათი ისტორიის ერთი შეხხალი, გულის ერთი ძგერაც არ დარჩება გაუანალიზებელი".

„ტელეგრაფი" კი ბექჰემის ამბავს, უფრო სწორად, „მანჩესტერ იუნაიტედის" განცხადებას „ბარსელონასა" და ხუან ლაპორტასთან დაკავშირებით, ბრიტანეთის ევროს სივრცეში შესვლასთან დაკავშირებულ ისტორიას ადარებს. კერძოდ, ბრიტანეთი ევროზე გადასასვლელად ხუთ კითხვიან თუ ხუთსაფეხურიან ტესტს ატრიალებს და „ტელეგრაფმა" ეს ტესტი ბექჰემს მიუსადაგა.

პირველი პუნქტი ის არის, რომ „იუნაიტედი" მზად არის მიიღოს ნებისმიერი გონივრული წინადადება ბექჰემთან დაკავშირებით. მეორე: ვინ შესთავაზებს მანჩესტერელებს საუკეთესო პირობებს? მესამე: დათანხმდება ბექჰემი? მეოთხე: რას იტყვიან „მანჩესტერის" ქომაგები? და მეხუთე: მოეწონება ეს ვარიანტი ვიქტორიას?

შემდეგ მოდის ანალიზი, რომელიც, მოდით, გამოვტოვოთ და დასკვნა: ყველაზე კარგი მადრიდში გადასვლა უნდა იყოს. მიზეზები: სამეფო კლუბი, დედაქალაქი, ელიტარული შემადგენლობა და მათი გაპრანჭული ცოლები.

„ინდიპენდენტის" სათაური ასეთია: „ბოდიში, მაგრამ დევიდ ბექჰემზე გული არ დამწყდება". წერილის ავტორი ჯეიმს ლაუტონი გახლავთ. გავეცნოთ ფრაგმენტებს:

„ბექჰემის იმიჯის შეუჩერებელი ზრდის მთავარი პრობლემა ის არის, რომ ყველაფერი გამოგონილია..."

„რაგინდ გვხიბლავდეს მისი პიროვნება და მისი ოჯახისკაცობა, რომელიც ახალგაზრდებისთვის სამაგალითოდაც კი ითვლება, უნდა ვთქვათ, რომ ბექჰემის დიდება ტყუილზეა აგებული: ეს ძალიან სერიოზული ტყუილია. მაგალითად, ამბობენ, რომ ბექჰემი დიდი ფეხბურთელია, მაშინ, როდესაც ის ცალკეული მონაცემებითაა დაჯილდოვებული... თუ სუსტ საბერძნეთთან უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში დარტყმულ ლამაზ ჯარიმას არ ჩავთვლით, მისი შედეგები ფრიად საშუალოა..."

სხვა გაზეთების ზოგადი ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ ბევრი მიმომხილველის აზრით, შექმნილი სიტუაცია იმის მაუწყებელია, რომ ბექჰემი უმალ „რეალში" ან „მილანში" გადავა, ვიდრე „ბარსელონაში", ხოლო ზოგი ასეთ თემებს თავს არიდებს და უფრო ბექჰემის მანჩესტერულ ბედ-იღბალს უტრიალებს. ისინი ამტკიცებენ, რომ ფეხბურთელი ალექს ფერგიუსონის მსხვერპლია და მწვრთნელმა მას ზურგიდან ჩასცა დანა.

ვნახოთ, „ტაიმსის" თქმისა არ იყოს, ჯერ ყველაფერი წინაა.

**ბაჩუნა ძიძია**




ბექჰემი იყიდება და მანჩესტერის აქციების ფასმა 7 პუნქტით მოიმატა



კარლ-ჰაინც რუმენიგე

# ბაიერნს ტაბლოიდებიც აფერადებენ
## გაზეთი ემოციის ექოა

*კარლ-ჰაინც რუმენიგეს, როგორც ფეხბურთელს, ყველაფერი მოუგია გარდა მსოფლიოს ჩემპიონობისა — 1982-86 წლებში ის ორჯერ დასჯერდა სამუნდიალო ვერცხლს. რუმენიგეს არანაკლები მიღწევები აქვს, როგორც საფეხბურთო მოხელესაც — მიუნხენის „ბაიერნმა“ მისი ვიცე-პრეზიდენტობის თუ თავმჯდომარეობის პერიოდში ყველა ტიტული მოიხვეჭა.*

*ახლა რუმენიგე „ბაიერნის“ თავმჯდომარეა და მასთან ინტერვიუ გუშინ გამოქვეყნდა კლუბის ვებ-გვერდზე.*

**— „ბაიერნს“ მოძიგძიგე სეზონი ჰქონდა. გაზეთების სათაურები აჭრელებული იყო „ბაიერნითა“ და მისი ფეხბურთელებით და არა მხოლოდ სპორტული ასპექტების გამო. როგორ შეაფასებდით განვლილ სეზონს ყველაფერ ამის გათვალისწინებით?**

— ბუნებრივია, რომ ყველაფერი ამით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, გვაქვს იმის უფლება, ვთქვათ, რომ ძალიან კარგი სეზონი გვქონდა. გერმანულ სცენაზე ჩვენ ვბატონობდით და სამომავლოდაც ძალიან ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი.

**— „ბაიერნის“ წარმატების საკვანძო ფაქტორები რა იყო?**

— ახალშენაძენები ზე რობერტო და მიხაელ ბალაკი სწრაფად გაუშინაურდნენ „ბაიერნს“ და სასიცოცხლო მნიშვნელობის გავლენა მოახდინეს გუნდზე, განსაკუთრებით ზამთრის შესვენების შემდეგ. მაგრამ ცალკეული მოთამაშეების გამორჩევა მაინც არ უნდა ღირდეს. ჩვენი წარმატება გუნდის დაცვის და შეტევის რგოლებზე თანაბრადაა განპირობებული. ოლივერ კანმა და ჩვენმა დაცვამ ბუნდესლიგაში ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვეს, ხოლო ელბერმა, პიზარომ და სანტა კრუზმა ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს.

**— ნუთუ „ბაიერნში“ მართლა არ არის ისეთი ფეხბურთელი, რომელიც დანარჩენებისგან გამოირჩევა?**

— არა და არც ვაპირებ გმირობის ჩადენას — „ბაიერნიდან“ გამოვარჩიო ერთი ფეხბურთელი. მაგრამ ყველასთვის ნათელია, რომ კანმა ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ბალაკი განვითარდა, როგორც ლიდერი, ხოლო ელბერმა მოლოდინი გაამართლა და 21 გოლი გაიტანა. ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა კლაუდიო პიზაროსაც.

**— ბუნდესლიგაში უახლოეს მდევარს 16 ქულით გაუსწარით, როგორ ახსნიდით ასე აშკარა განსხვავებას კლასში?**

— ჩვენ უბრალოდ არ დაგვავიწყებია, რომ ჩემპიონთა ლიგიდან ადრეულად გამოვარდით. ეს ფაქტორი ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის კი არა, უფრო მეტი იყო. მტკივნეული ხელმოცარვის შემდეგ ბუნდესლიგაში და გერმანიის თასზე ყველაფერი პირიქით მოხდა.

**— მიუხედავად ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნისა, „ბაიერნს“ პოპულარობა არ დაუკარგავს — აქ მხოლოდ მოედანზე დატრიალებული ამბები არ იგულისხმება.**

— ეს ჩვენი ძლევამოსილი პოზიციების გამო მოხდა. თებერვლიდან წმინდა სპორტულ საკითხებში ჩვენ გადავაბიჯეთ მასმედიურ კრიტიკას. გავზარდეთ უპირატესობა უახლოეს მდევართან, რაც სულაც არ ესიამოვნა მედიას — ამას კარგი გაგებით ვამბობ. ფეხბურთი ემოციით ცხოვრობს, მაგრამ როცა უპირატესობას მდევართან ათ, თორმეტ და 16 ქულამდე გაზრდი, დიდი ემოციებისგან იცლები და გაზეთებში დასაწერიც არარაფერი რჩება.

**— და ასეთი ტენდენციები თქვენ არ გაწუხებთ?**

— ამას ჩვენ მშვიდად ვუყურებთ და არ ვიღებთ როგორც კრიზისს, როცა „ბაიერნის“ ერთ-ერთ ფეხბურთელი თავისი არასაფეხბურთო საქციელის გამო გაზეთის პირველ გვერდზეა გამოჭენებული. გართობა ფეხბურთის წესად იქცა და ეს ერთ-ერთი იმათგანია, რაც „ბაიერნს“ ინტერესის ობიექტად ტოვებს.

**— ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ ოტმარ ჰიცფელდის დათხოვნას აპირებდით?**

— არასდროს არ ვაპირებდით მის გაშვებას. ჩვენ მისი ერთგულნი დავრჩით და ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ასეთმა მიდგომამ გაამართლა. იმედია, ის კიდევ დიდ ხანს დარჩება „ბაიერნში“. ჰიცფელდი ჩვენი წარმატებების გარანტიაა, ის კლუბს ზედმიწევნით ესადაგება.

# ჩამოიყვანეთ მაკაი!
## და ელბერი დილის 5 საათზე აეროპორტში დახვდება



ჯოვანი ელბერი

**მიუნხენის** „ბაიერნის“ ბრაზილიელი ვარსკვლავი ჯოვანი ელბერი საკუთარი კლუბის სახეიროდ, ეტყობა, ყურადღებით ადევნებს თვალყურს ევროპულ გრანდ კლუბებში მოსაქმიანე სახელოვან მობურთალთა ფინანსურ მდგომარეობას. ახლახან ჰოლანდიელი მაკაის უკმაყოფილებაც შეუმჩნევია გალისიური „დეპორტივოს“ ფულად პრობლემათა გამო და „ბაიერნისთვის“ მისი შეძენა შეუთავაზებია. ელბერს კარგად ესმის, თუ რა ძალას წარმოადგენს ესპანეთის პრიმერაში 28 ბურთის (ჯერჯერობით!) გამტანი მაკაი და ბავარიული გუნდის ხელმძღვანელობას სერიოზულად ურჩევს, სანამ დროა, ჰოლანდიელის მოტაცებაზე იზრუნოს. „მაკაი დიდებული ფეხბურთელია. რახან ჩემპიონთა ლიგის მოგება გვინდა, „ბაიერნის“ მისნაირი მოთამაშეებით შევსებაზეც უნდა ვიფიქროთ. თუ ჩვენი გუნდის უფროსობა როის გადმოყვანას მოახერხებს, პატიოსან სიტყვას ვიძლევი, ერთ-ერთი პირველთაგანი დავხვდები ჰოლანდიელს აეროპორტში, თუნდაც დილის 5 საათი იყოს“ — განუცხადა ბრაზილიელმა გერმანულ „შპორტ ბილდს“. თავად მაკაი კი კატალონიური მზის სიმხურვალეს უფრო სიამით შეიგრძნობს, ვიდრე ბავარიულ მკაცრ პეიზაჟებს. ხოსეპ მარია მინგულა, „ბარსელონას“ პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, მრავალრიცხოვან ქომაგს თავისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ესპანეთის მთავარი გოლეადორის შეძენას ჰპირდება. ისე, „ბაიერნიც“ იყო თავის დროზე ხავიერ ირურეტას ამჟამინდელი შეგირდით დაინტერესებული, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა ეს საკითხი მხოლოდ საელბერო დონეზეა.

**ლადო ხომერიკი**


# სიახლე საქართველოში!
35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,
აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის,
ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით,
საცალო და საბითუმო ფასებში
სარო-არტპრინტი ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49


## ამხანაგური მატჩი
# გათავებული საქმე

**პორტუგალია 4:0 ბოლივია**

**1:0 ჟორჟე ანდრადე (8), 2:0 კოუტუ (14), 3:0, 4:0 პოსტიგა (41, 48)**

**პორტუგალია: რიკარდუ (კიმი 61), პ. ფერეირა (სილასი 65), ფ. კოუტუ (ბეტუ სევერუ 58), ჟორჟე ანდრადე, რუი ჟორჟე (როჟერიუ 46), მ. რიბეირუ (ლოურეირუ 46), ტიაგუ, ს. კონსეისაუ, უგო ვიანა, პოსტიგა, პაულეტა (კვარესმა 46)**

**ბოლივია: უ. სუარესი, ოიოსი, რალდესი, ხ. პენა, არანა, ლ. ალვარესი, კალუსტრო (ლოიაზა 89), რ. გარსია, მოხიკა (როხასი 46), რ. სუარესი, ხოსე კასტილიო (ანდავერისი 62)**

**მსაჯი: ასაფ კენამი (ისრაელი)**

**10 000 მაყურებელი**

**რომ გითხრათ,** პორტუგალიელებს ბოლივიელთა დამარცხება გაუჭირდათო, დაიჯერებთ? ცხადია, არა და მართლებიც იქნებით. ევროპის ჩემპიონატის მასპინძლებმა ძალიან იოლად მოიგეს.

პორტუგალიელებმა თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებ, მათ მხოლოდ ლუიშ ფიგუ და მანუელ რუი კოშტა აკლდათ. მიუხედავად ამისა, მეთოთხმეტე წუთისთვის მათ უკვე ორი გოლი ჰქონდათ გატანილი.

პირველი გოლი ჟორჟე ანდრადემ თავით გაიტანა, რუი ჟორჟეს კუთხურის შემდეგ. მეორე გოლიც პირველის მსგავსი გამოდგა — ასევე კუთხურს მოჰყვა და თავურით გავიდა, ოღონდ შემსრულებლები სხვები იყვნენ. კუთხური უგო ვიანამ ჩააწოდა, საგოლედ კი კაპიტანმა ფერნანდო კოუტუმ დაჰკრა.

თავურით გავიდა მესამე გოლიც, ოღონდ არა კუთხურის, არამედ ჩვეულებრივი განივი ჩაწოდების მერე. თუმცა ისიცაა, რომ რუი ჟორჟემ ელდერ პოსტიგას ზედ კუთხურის ხაზიდან ჩააწოდა.

პოსტიგამვე გაიტანა მეოთხე გოლი, რომელიც უგო ვიანას გრძელ, დიაგონალურ პასს მოჰყვა.

და რას აკეთებდნენ ბოლივიელები? ისინი კონტრშეტევებზე ცდილობდნენ თამაშის აგებას, მაგრამ პორტუგალიელები დაცვაშიც საიმედოდ თამაშობდნენ, რის შედეგადაც მეკარე რიკარდუ პერეირას იოტისოდენა საქმეც არ ჰქონია. ხოლო მოგვიანებით, როცა რიკარდუ კიმ სილვამ შეცვალა, მასპინძელთა კართან ერთადერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა — ალვარესმა ძელს გაარტყა.

**გიორგი დარჯანია**



სერჟიუ კონსეისაუ (ბურთით) ბოლივიელებმა ვერ შეაჩერეს

REUTERS

# მსუბუქი ყოფა და ქცევა
## მაკლიში მიკი მაუსია
## კანიჯას სიბერე ჩაუმწარეს




კლაუდიო კანიჯას ალექს მაკლიშმა კარისკენ მიუთითა

**ასაკი** თავისას შვრება — 36 წლის კლაუდიო კანიჯამ ალექს მაკლიში მიკი მაუსს შეადარა, ხოლო „რეინჯერსზე" თქვა, ჩემპიონი იმიტომ გახდა, რომ „სელტიკმა" ყველაფერი უეფას თასზე ჩასდოო.

საქმე ისაა, რომ „რეინჯერსმა" კანიჯას კონტრაქტი არ გაუგრძელა. არგენტინელი კი ამბობს, მაკლიში მპირდებოდა, თუ ჩემპიონები გავხდებით, იმის ძალა მექნება, რომ კლუბის ხელმძღვანელობას შენთან ხელშეკრულება გავაგრძელებინოო.

„მაკლიშმა, როგორც ადამიანმა და მწვრთნელმა, ძალიან გამაწბილა. ის მთელი სეზონი თავგზას მიბნევდა. მან საკუთარი თავი მსუბუქ პერსონად წარმოაჩინა, რითაც მიკი მაუსს ჰგავს. მაკლიში ისეთივე ფარატინაა, როგორც ფურცელი — პირი მოალო კანიჯამ და დაამატა — შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურისთვის „სელტიკი" უეფას თასის ფინალის შემდეგ გადაღლილი იყო, „რეინჯერსი" კი დასვენებული. „რეინჯერსი" მხოლოდ იმიტომ გახდა ჩემპიონი, რომ „სელტიკი" უეფას თასზე იყო გადართული."

მაკლიში ერთია და კანიჯამ ამ სიტყვებით კენჭები თანგუნდელეთა ბოსტანშიც ისროლა. არადა, „რეინჯერსმა" ჩემპიონატის გარდა ორი შოტლანდიური თასიც მოიპოვა, ლიგის თასის ფინალიში კი კანიჯამ გოლიც გაუტანა „სელტიკს" — მატჩი „რეინჯერსმა" 2:1 მოიგო.

ჰყავს თუ არა კანიჯას ენდეკრინოლოგი, ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. ის კია, რომ მხცოვან ფეხბურთელს ოცნება წაართვეს.

„ჩემს კარიერაში ყველაფერი გავაკეთე გარდა იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგაში არ მითამაშია. მაკლიშმა ჩემი ბოლო საფეხბურთო ოცნება დაანგრია" — ასე ჰგონია გულდათუთქულ კლაუდიოს, რომელმაც ბურთი ვინძლო ყატარში გააგოროს.



**დავით თავართქილაძე**

# ვინ არის შენი მათხოვარი?!
## საქართველოს მაწანწალები არ აწანწალეს

**ჩვენს** გაუკულმართებულ-გაუბედურებულ ქვეყანაში უსახლკაროს და მაწანწალას რა გამოლევს. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, სახელმწიფოსგან მივიწყებული ამ ხალხთან ვინმე რომ მოვიდეს და უთხრას, გაემზადეთ, ერთი კვირით ავსტრიაში წაგიყვანთ მსოფლიოს ჩემპიონატზეო. არარეალურია? სულაც არა.

ფიფა-უეფა რომ სიღარიბის დაძლევაზე და ლატაკთა ხელშეწყობაზე ფიქრობს, ახალი ამბავი არ არის. მსოფლიო ფეხბურთის მესვეურთა მძლავრი იარაღი ამ შემთხვევაშიც ბურთია. ჰოდა, ფიფას გადაწყვეტილებით, 2003 წელს ევროპის კულტურულ დედაქალაქად გამოცხადებული გრაცი მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს... ბომჟთა შორის. ფიფამ ჩემპიონატის მონაწილე 18 ქვეყანა დაასახელა, რაღა თქმა უნდა, ყოველგვარი შესარჩევი ეტაპის გარეშე და ჩვენთვის სასიხარულო ამბავიც ეს არის. როგორც ჩანს, ქართველ უსახლკაროთა ყოფა არც ისე თვალშისაცემია, რაკიღა ფიფას თვრამეტეულში ვერ მოვხვდით. მსოფლიოს ჩემპიონატი ბომჟთა შორის 7-13 ივლისს ჩატარდება. გრაცში სხვადასხვა კონტინენტის 8-8 წევრიანი ბომჟთა გუნდები ჩავლენ. თითოეულ გუნდს ორ-ორი მწვრთნელ-დამკვირვებელი ეყოლება, ღროებით ფეხბურთელებმა სპორტულ პრინციპებს რომ არ უღალატონ და რაიმე ისეთი არ ჩაიდინონ... ჩემპიონატის დებულებით, თითოეულ გუნდს სამ-სამი შეცვლის უფლება ექნება, მოედანზე ყოფნა კი ერთბაშად ორივე სქესის ბომჟებს შეეძლებათ.

გრაცი ზარ-ზეიმით ემზადება მსოფლიოს ჩემპიონატის სამასპინძლოდ. საზეიმო გახსნა 6 ივლისსაა დაგეგმილი. მატჩები კი ცოცხალი მუსიკის აკომპანიმენტით ჩაივლის — მოხალისე მუსიკოსების რიგი უდგათ ტურნირის ორგანიზატორებს.




ამათ მათხოვრებისა არაფერი ეტყობათ

**პაატა ქვანტალიანი**




**იტალიელი** ფრანჩესკო ტოტის „რომადან" „მილანში" შესაძლო ტრანსფერის გაჩარხვას თავად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, „როსონერის" პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი აპირებს. ბერლუსკონის ტოტის „მილანის" „შავ-წითელი" ფორმით ხილვა ოცნებად გადაქცევია. იტალიური მედია წერს, „რომას" პრეზიდენტ ფრანკო სენსის და „მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის არცთუ შეხმატკბილებული ურთიერთობა აქვთ და ტოტის თაობაზე სენსის სწორედ ბერლუსკონი მოელაპარაკებაო. ცნობილია, ტოტის სატრანსფერო თანხაც — 20 მილიონი ევრო, თუმც „მილანი" ამით არ კმაყოფილდება და „პუპონეს" (ტოტის მეტსახელია) სანაცვლოდ „რომას" ორ ფეხბურთელს სთავაზობს — პორტუგალიელი მანუელ რუი კოშტა და ორიდან ერთი არჩევანი — იონ დალ ტომასონი ანაც ბრაზილიელი როკე ჟუნიორი. ვარაუდობენ, ფრანჩესკო ტოტი „მილანში" ზაფხულში გადავაო.

**სერბმა სპეციალისტმა სლავოლუბ მუსლინმა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მან ზორან ფილიპოვიჩი შეცვალა. მუსლინი „ცრვენა ზვეზდაში" ადრეც მუშაობდა და გუნდთან ერთად ქვეყნის ჩემპიონობა და თასიც მოიგო. პოპულარული ბელგრადული კლუბი სერბეთის ბოლო ჩემპიონატში „პარტიზანის" მერე მეორე იყო. პრეზიდენტმა დრაგან ჯაიჩმა „მარადიული მტრის" ჩრდილქვეშ ყოფნა ვერ იგუა და მწვრთნელი ზორან ფილიპოვიჩიც ამიტომ დაითხოვა.**

**უნგრეთის** ნაკრების თავდამსხმელი იმრე საბიჩი გრაცის „შტურმში" თამაშობს. ახალი სეზონიდან კი მას კარიერის გაგრძელება პოლონეთის ჩემპიონ კრაკოვის „ვისლაში" სურს და არა მოსკოვის „სპარტაკში". რუსული მასმედია საბიჩს სწორედ „სპარტაკისკენ" „ექაჩება", მაგრამ 22 წლის უნგრელს თავად არ მიუწევს გული, ჩემპიონთა ლიგაში მინდა თამაშიო.

**რუსეთის ჩემპიონ მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველი იური დროზდოვი გაქურდეს. ბოროტმოქმედებმა მისი სახლიდან ძვირფასეულობა, ტანსაცმელი და აპარატურა მოიპარეს. ქურდები ამით არ დაკმაყოფილდნენ და 200 ათას რუსულ რუბლს ის ოქროს მედალიც გააყოლეს, დროზდოვმა „ლოკომოტივთან" ერთად შარშან რუსეთის ჩემპიონობით მოიგო. მიმდინარეობს გამოძიება.**

**შვეიცარიის** ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი თავკაცი ჰანს-პეტერ ზაუგი „იანგ ბოისის" მწვრთნელად დაინიშნა. 50 წლის სპეციალისტმა პოსტზე მარკო შალიბაუმი შეცვალა. ზაუგი ბოლოს „ლუცერნს" წვრთნიდა. „იანგ ბოისმა" შვეიცარიის ახალგასრულებულ ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა და ზაფხულიდან უეფას თასზე ითამაშებს.

**ესპანური მადრიდის „რეალის" ულვაშა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ ჟურნალისტებს განუცხადა, „რეალში" მხოლოდ იმ შემთხვევაში დავრჩები, თუ თავად კლუბი გულწრფელად გამოთქვამს ჩემი დატოვების სურვილსო. დელ ბოსკეს მადრიდულ კლუბთან ხელშეკრულება ივნისის ბოლოს ეწურება. „მსურს, ისინი ბედნიერები იყვნენ ჩემთან ერთად, თუ ასე არაა, ახალი მწვრთნელის მოყვანაც ალბათ ლოგიკურია. რთული საკითხია, სურვილი სურვილად და დაე, თავად „რეალის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტოს" — დასძენს დელ ბოსკე.**

**ინგლისურ** „ევერტონს" საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრებისა და „ბასტიას" მეკარე ნიკოლა პენეტოსთვის დაუდგამს თვალი. ყმაწვილ პენეტოს სპეციალისტები ამომავალ ვარსკვლავად და საიმედო მეკარედ მიიჩნევენ. ამბობენ კიდეც, სულ ცოტა ხანში ნიკოლა პენეტო საფრანგეთის ეროვნული გუნდის კარის დარაჯი გახდება და ფაბიენ ბარტეზსაც ღირსეულად შეცვლისო. პენეტოს თავისთან გადაბირება „ევერტონის" გარდა კიდევ ერთ ინგლისურ კლუბს, „ბირმინგემს" სურს.

**გერმანული „შტუტგარტი" სექტემბრიდან ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. კლუბის ხელმძღვანელებსაც გუნდის გაძლიერება განუზრახავთ. „შტუტგარტის" მწვრთნელი ფელიქს მაგათი გამოცდილი საყრდენი ნახევარმცველის ძებნაშია. კანდიდატები კი სამნი ყოფილან: იურიცა ვრანიეში „ლევერკუზენიდან", ხაიმე „ჰანოვერიდან" და „ბორდოს" რუსი ალექსეი სმერტინი. „კიკერის" ცნობით, მაგათის რჩეული სწორედ ეს უკანასკნელი, სმერტინი გახდება. „მას გერმანიაში კარგად იცნობენ, ძლიერი და მაღალი კლასის ფეხბურთელია. „შტუტგარტი" მისით რა ხანია, დაინტერესებულია" — ამბობს ნიკოლაი შპილევსკი, „შტუტგარტის" ბელარუსი ლეგიონერის ალექსანდრ გლების მენეჯერი.**

**იტალიელი** მწვრთნელი ალბერტო მალეზანი „მოდენას" მწვრთნელად დაინიშნა. „პარმას" ყოფილმა თავკაცმა პოსტზე ჯანი დე ბიაზი შეცვალა. დე ბიაზის თანამდებობიდან გაშვების მიზეზი უცნობია, „მოდენა" შარშან სერია B-დან სერია A-ში ალაზევა და პირველსავე წელს გუნდს ელიტარულ ლიგაში ადგილი შეუნარჩუნა.

**ბერძნული „პანათინაიკოსის" პრეზიდენტი ანგელოს ფილიპიდისი თანამდებობიდან გადადგა. იგი სამი წლის მანძილზე მართავდა ათენურ კლუბს. „ფილიპიდისს ვემადლიერებით და ვთვლით, რომ იგი „პანათინაიკოსის" ნაწილია. მისი პრეზიდენტობისას გუნდი ორჯერ გავიდა ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის მეოთხედფინალში. გმადლობთ!" — კლუბის დირექტორატთა საბჭომ ანგელოს ფილიპიდისს სპეციალური პრეს-რელიზი მიუძღვნა.**

**ფრანგული** „ოსერის" თავთეთრა ფორვარდი ჯიბრილ სისე აცხადებს, რომ 90 პროცენტით კლუბში რჩება, არადა, მას „ლივერპული" იწვევდა. „ჩემთვის დიდი პატივია, ჟერარ ულიე რა ხანია, მეხმიანებოდა, წამოდი, „ლივერპულის" ლეგენდარულ მაისურას მოგარგებ და ძირითადშიც მუდმივად გათამაშებო, მაგრამ არ ვჩქარობ, ერთ წელიწადს მოვიცდი და პრემიერლიგასაც უფრო მომზადებული შევხვდები. ერთი ნამდვილად ვიცი, „ოსერს" ოდესმე დავტოვებ და მხოლოდ „ლივერპულში" გადავალ" — ამბობს სისე.

**იტალიური „მილანის" ფრანგი ნახევარმცველი იბრაჰიმ ბა მომავალი სეზონიდან სავარაუდოდ ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" ითამაშებს. ბას „მილანთან" კონტრაქტის ვადა 30 ივნისს ამოეწურება და თავისუფალი აგენტის სტატუსით შეეძლება სხვაგან გადასვლა. „მე თამაში მწყურია, „მილანში" კი შანსი საერთოდ არ მაქვს. „ოლიმპიაკოსი" იდეალურ ვარიანტად მიმაჩნია" — ამბობს ერთ დროს ნიჭიერი იბრაჰიმ ბა.**

**ფრანგული** „მონპელიეს" მწვრთნელი ჟერარ პერნადეტი სამდღიან ველომოგზაურობაში გაემგზავრა. მან 400 კილომეტრი უნდა დაფაროს. რამ აიძულა 46 წლის სპეციალისტი, ასე ორიგინალურად მოქცეულიყო? ჯერ კიდევ იანვარში თქვა, თუ „მონპელიე" საფრანგეთის პირველი დივიზიონიდან არ გავარდა, მონპელიედან ლურდში ველოსიპედით წავალო... და „მონპელიე" არ გავარდა. მწვრთნელი ახლა კარკასონს მიუახლოვდა.

# ჭამი გაყრისა და შეყრისა

## რომის პაპმა ბლატერს ჯვარი არ დასწერა

*მარადონა, ოლივერ კანი, რონალდო, რივალდო, მარსელო სალასი, ვინჩენცო მონტელა, თომას ჰელმერი, ფრანც ბეკენბაუერი, ლოთარ მათეუსი... ქართული სუფრა გამახსენდა, ჭიქით ხელში მობარბაცე კაცი, ახლა ჩამოთვლას არ დავიწყებო, რომ იტყვის, მერე კი ველარ აჩუმებენ. ჩვენც შეგვეძლო გაგვეგრძელებინა, მაგრამ ისეთი გვარები ვახსენეთ, ვფიქრობ, საკმარისია. ბურთის გარდა მათ ალაგ-ალაგ აწეწილი ოჯახური ცხოვრება აერთიანებთ. ზოგიერთ შემთხვევაში მრავალმილიონიანი კონტრაქტი სიყვარულს კი არ ადუღაბებს, პირიქით — ანგრევს. სწორედ რამდენიმე ასეთ „ნანგრევზე“ ქვემოთ გიამბობთ.*

„ჩვენ გვსურს, რომ მას დავეხმაროთ, გავამხნევოთ. გვერდით დავუდგეთ, საკუთარი თავის რწმენა დავუბრუნოთ“ — ამ სიტყვებს კარლო ანჩელოტი პრესკონფერენციებზე ხშირად იმეორებდა, როცა რივალდოს უთამაშებლობაზე ეკითხებოდნენ.

გაზაფხულზე ბრაზილიელსა და „მილანის“ მწვრთნელს შორის უთანხმოებაზე ხშირად ლაპარაკობდნენ. ანჩელოტი არ ენდობაო, რივალდო გუნდში აღარ დარჩებაო და მიზეზად ძირითადად გუნდის თავკაცს ასახელებდნენ.

სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: რივალდო 1992 წლიდან მეუღლე როზასთან ერთად ცხოვრობდა. ქალმა ფეხბურთელ მამას ორი ვაჟკაცი — რივალდინიო და ტამირესი აჩუქა. ყველაფერი კარგად აეწყო და ათი წლის მანძილზე ისე იყვნენ, როგორც ყველი და პური.

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ ბრაზილიაში მავანმა ქალბატონმა, ვივიანე ბრუნერმა განაცხადა, ფეხმძიმედ ვარ და ჩემი მომავალი შვილის მამა რივალდოაო. მოგვიანებით, მან ფირფიტა გადააბრუნა, ვცდები, მგონი, რონალდოსი უნდა იყოსო.

როზას საქმე ამბავში გარეულ ქმარზე გული აეყარა. შარშანვე, მილანში გადასვლის წინ, ოჯახში ბზარი გაჩნდა, წლეულს იანვარში კი როზამ ბავშვებს ხელი სტაცა და ბრაზილიაში დაბრუნდა.

მარტში ამხანაგური მატჩისთვის გამოძახებულმა რივალდომ სამშობლოში შეიარა და გაყრა ოფიციალურად გააფორმა. ასე რომ, ფორმიდან მისი ამოვარდნა, პენალტის ვერ გატანა, ჯარიმების უხეიროდ შესრულება მთლად მწვრთნელის ახირებისა კი არა, ოჯახური იდილიის რღვევის ბრალიც ყოფილა.

ამავ დღეშია რონალდო. ცოლი იტალიაშია ბავშვთან ერთად. ქმარი ესპანეთში. ოფიციალურად ჯერ არ დაშორებულან, მაგრამ მილენას რონალდოს



თომას ჰელმერი შვილს ალიმენტს არ უხდის



რივალდო როზას ახლახან გაეყარა

სახელის გაგონებაც აღარ სურს. მამა მადრიდში ნებივრობს, ლამაზმანებს მიედ-მოედება და ცოლ-შვილი აღარც ახსოვს. თავის მხრივ, ფეხბურთელის ქომაგებმა მილენა დომინგუში დაადანაშაულეს, შენი ბრალია, ფეხბურთი რა ქალის საქმეა, ქმართან ერთად უნდა ყოფილიყავი და ოჯახზე გეზრუნაო.

„რამდენი ხანია, უქმეები ერთად არ გაგვიტარებია — დაიჩივლა ქალმა — „რონი“ (3 წლის რონალდო) უმამობას ძალიან განიცდის და მისი ტანჯვით მეც ვიტანჯები. ბავშვს რონალდოს ვერ დავუტოვებ, რადგან სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. ამიტომაც გადავწყვიტე — „რონი“ იტალიაში ჩემთან ერთად იცხოვრებს, მამას კი თავში ქვა უხლია, მუცელში სამართებელი. ჩვენი შვილი ერთადერთია, რაც ერთობლივად „შევქმენით“, მაგრამ არც ეს ყოფილა საკმარისი ბედნიერებისთვის. ყველას რატომღაც ჰგონია, რომ მდიდარი და ცნობილი ადამიანების ცხოვრების გზა იავარდითაა მოფენილი. ნურას უკაცრავად, პრობლემებითაა სავსე“.

მილენა დომინგუშმა და რონალდომ საქმეში ადვოკატები უკვე ჩართეს და წყვილის წყვილობას შუაში მალე გრძელი ტირე ჩაუდგება.

ოჯახური კერის დანგრევამ „რომას“ ფორვარდ ვინჩენცო მონტელაზეც იმოქმედა. მეგოლემ გოლებს იმის გამო უკლო, რომ მას პირმშვენიერი მეუღლე — რიტა გაშორდა.

თავიდან, როგორც წესი, ყველაფერი კარგად იყო. შარშან ზაფხულში ისინი კუნძულ ისკიაზე დასასვენებლად წავიდნენ. ფეხბურთელს იქ საკუთარი აგარაკი აქვს. მონტელას, ცხადია, სცნობდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. ზედმეტი ყურადღებით გადაღლილმა რიტამ ერთ მშვენიერ დღეს კაფეში შესვლა და ცნობისმოყვარე თვალისგან დამალვა გადაწყვიტა. რიტამ კაფეში სიარულს მოუხშირა, ბარმენი გაიცნო და ისე შეუყვარდა, მონტელას არც კი დაესიზმრებაო — ხუმრობდნენ კუნძულელები.

რიტამ ქმარს პატარა ალესიო დაუტოვა, თავად კი ერთ-ერთი ტელეკომპანიაში საკვირაო შოუ „BUONA DOMENICA“ უძღვება.

„რომას“ პრეზიდენტი ფრანკო სენსი და თვით ფაბიო კაპელოც კი ჩაერივნენ არეულ საქმეში, მაგრამ წყვილის შერიგება ამაოდ სცადეს — ამ წლის დასაწყისში ოფიციალურად გაშორდნენ.

ეულად დარჩენილ ვინჩენცოს ნაირნაირ ლამაზმანთან ერთად ხშირად ხედავდნენ. განსაკუთრებით ისეთ ადგილებს ეტანებოდა, სადაც ცნობილი მსახიობები, რა თქმა უნდა, ქალები იკრიბებოდნენ. მან იტალიელი სექს-ნალმი, საბრინა ფერილიც კი შეახუჭუჭა, მაგრამ აგარაკამდე ვერ მიიყვანა.

რიტა კი მალიმალ ისკიას სტუმრობს და ბარმენს ხვდება.

ბევრს ალბათ კიდეც დაავიწყდა ჩილელი მარსელო სალასი. ოდესღაც „მატადორად“ წოდებული ფეხბურთელი ტურინულ ნისლში მას შემდეგ ჩაიკარგა, რაც მეუღლემ, კაროლინამ მიატოვა. ცოლი მარსელოს გაუწყრა და შვილებითურთ სამშობლოში დაბრუნდა.

გაყრამ სხვაგვარად იმოქმედა ემერსონზე. ბრაზილიელი უკეთესად ათამაშდა და „რომას“ შემადგენლობაში შესანიშნავი სეზონი ჩაატარა. ემერსონს გარეჯა კლუბის პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ ასე დაუფასა — საკუთარი თვითმფრინავი დაუთმო ბრაზილიაში გასამგზავრებლად, სადაც ფეხბურთელს ცოლთან განშორება ფურცლებზე უნდა გაეფორმებინა. ჯონათან ძებინა არც მონტელაა და არც ტოტი, მაგრამ იტალიელი მსახიობი რომინა მონდელოსთან მისი ხანმოკლე რომანი უეცრად შეწყდა. რომინა ფეხბურთელთან ერთი თვის განმავლობაში ერთობოდა, თებერვალში კი, სხვა მიყვარს და ცოლად მივყვებიო. ბეჩავ ძებინას ყბა ჩამოუვარდა. ისე უყვარდა სატრფო, რომ ვერ დაიჯერა ღალატი. „რომას“ ფანებმა, გეყო ღრიალი, ფეხბურთს მიხედეო, ურჩიეს ჯონათანს.

კიდევ ერთი დაშლილ-მოშლილი რომაული წყვილი: სიმონე ინძაგი და ალესია მარკუცი. ალესია იტალიაში ცნობილი მსახიობი ქალბატონია. მისმა მენეჯერმა საჯაროდ თქვა: „სამწუხაროდ, არაჩვეულებრივი სიყვარულის ისტორია დასრულდა. ისინი (სიმონე და ალესია) მეგობრებად დარჩებიან და კვლავაც შეხვდებიან ერთმანეთს, ოღონდ ...ალიმენტის ოდენობის გასარკვევად“. მათი ერთი წლის შვილი ტომაზო ამიერიდან მამისგან ალიმენტებს მიიღებს.

გერმანიაში ოლივერ კანმა ფეხმძიმე მეუღლე რომ მიატოვა და გვარიანადაც გამოლანძღეს, ცნობილია. მის კვალს თომას ჰელმერიც დაადგა, რომელსაც ბუნდესნაკრებში 68-ჯერ უთამაშია. ჰელმერი ოფიციალურად გაშორდა ცოლს, რეგინას, ვისთანაც 12 წელიწადი გაატარა. 12 და 5 წლის შვილების პატრონი მამა მსახიობმა იასმინ ფილალმა დაიპყრო. რეგინამ ყოფილ ქმარს უჩივლა, ალიმენტებს არ გვიხდისო, ფეხბურთელის ადვოკატმა კი უპასუხა, ვალდებული არააო, მიუხედავად იმისა, რომ ჰელმერი საკმაოდ მდიდარი კაცია.

იმ დროს, როცა ცნობილ ფეხბურთელთა ოჯახები წკიპურტწარტყმული დომინოს კოჭებივით იშლებიან, სადღაც მაღლა, ანუ ფიფაში პირიქით — იქმნება. ფიფას რომელიმე რიგით ჩინოვნიკი რომ დაქორწინებულიყო, ნაკლებად საინტერესო იქნებოდა, მაგრამ დახეთ, გასულ ზამთარს თვით ზეპ ბლატერი გაბედნიერებულა. მან 40 წლის გრაციელა ბიანკისთან ხელი მოაწერა. ქალბატონი გრაციელა დელფინების მწვრთნელია და იგი პრეზიდენტს სასიძოს დამ, კორინამ გააცნო.

სამწუხაროდ, კათოლიკური ეკლესია პრეზიდენტის ქორწინებას არ ცნობს. ხუთი წლის წინ ბლატერის პირველი მეუღლე რომ გარდაიცვალა,



იოზეფ ბლატერმა
რომის პაპი ვერ დაარწმუნა

მან სხვა ქალი შეირთო, რომელსაც შემდგომში გაშორდა. კათოლიკური ეკლესია ქორწინებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აუქმებს, თუ ერთ-ერთი მეუღლეთაგანი გარდაიცვლება. ეკლესია ზეპ ბლატერს მეორე ცოლთან გაყრის ამბავს უწუნებს და მესამესთან ჯვრის დაწერის უფლებას არ აძლევს.ა

„სიყვარული ცოდვა არაა“ — დაჟინებით იმეორებს პრეზიდენტი. იგი თვით რომის პაპთან მუხლმოყრაზეც კი თანახმაა, ოღონდ გრაციელასთან ერთად საკურთხეველთან მიუშვან.

ზეპ ბლატერმა მისნაირად დაჩაგრულთა დასაცავად 96-გვერდიანი ტრაქტატიც კი დაწერა სათაურით: „ცოლთან გაშორებული კათოლიკების უფლებათა დასაცავად, რამეთუ მათ სიყვარულისა სწამთ და ხელახლა ოჯახის შექმნა სურთ“.

ეს ტრაქტატი ციურიხში შვეიცარიელ ეპისკოპოს ნორბერტ ბრუნერს მაგიდაზე დაუდო და თან მიწერა — „გადაეცით რომის პაპს“. ეპისკოპოსი შეუვალია. ეკლესიის კანონებს არ ემორჩილებით და აქედან გამომდინარე, თქვენი ქორწინებაც უკანონოა“ — მოახსენა ნორბერტ ბრუნერმა პრეზიდენტს. ბლატერს კი სიბერეში გრაციელა შეჰვარებია და რომის პაპის იმედზეა.

**ვაჟა ხუციშვილი**



სიმონე ინძაგის ალესიამ ზურგი აქცია



ვინჩენცო მონტელას ამბორს რიტამ სხვისი ალერსი ამჯობინა



ენდი ვან დერ მეიდე

# ვისია, ვისია ფიგუ ახალი...

## ვან დერ მეიდემ ინტერს დაუმიზნა

**სატრანსფერო** ფრონტზე „ინტერი" ჯერჯერობით არ აქტიურობს, მაგრამ ჩუმ-ჩუმად აქა-იქ ფეხბურთელებს მაინც ეპოტინება.

ლონდონის „არსენალმა" ლისაბონის „სპორტინგში" ახალი „ფიგუ" რომ იპოვა და მისი გადაბირება მოიწადინა, ადრეც გაუწყეთ. ცხადია, ევროპაში მხვერავები მხოლოდ „მეთოფეებს" არ ჰყავთ. „სპორტინგის" ნახევარმცველი რიკარდუ კუარესმუ „ინტერის" სკაუტებსაც მოსწონებიათ. მილანელებმა ლისაბონელებს 32 წლის პარაგვაელი მცველი კარლოს გამარა და ცოტაოდენი ფული შესთავაზეს. პორტუგალიელები თავიდან თითქოს დათანხმდნენ, მაგრამ ბოლო წამს შეუთვალეს, პარაგვაელი მცველი არ გვინდა, კუარესმუს სანაცვლოდ ფული სრულად მოგვეცითო. ამის გამო ეს ტრანსფერი დროებით მუხრუჭდება.

სამაგიეროდ, „ინტერისა" და „აიაქსის" თანამშრომლობა შეიძლება იმით დასრულდეს, რომ ვინძლო ენდი ვან დერ მეიდემ „შავ-ლურჯ" მაისურა მოირგოს. ამსტერდამელთა შემტევმა ნახევარმცველმა, რომელსაც ესპანელი დედა ჰყოლია, იტალიურ პრესას გულისნადები გაანდო: „ვიცი, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობს. „აიაქსთან" კონტრაქტი 2006 წლამდე მაქვს, მაგრამ ვიმედოვნებ, ამსტერდამელები მილანელებთან მორიგდებიან, მე კი „სან სიროზე" გადავალ. კრისტიან ვიერისა და ერნან კრესპოს გვერდით თამაში ნებისმიერი თავდამსხმელისთვის უდიდესი პატივია".



ალვარო რეკობა

„ინტერს" ურუგვაელი ალვარო რეკობას გასხვისებაც სურს. მილანელებმა ლონდონის „არსენალს" რეკობა შესთავაზეს, სანაცვლოდ კი 30 წლის რობერ პირესს ითხოვენ. პირესის კონტრაქტი „არსენალთან" 2005-ში მთავრდება. იგი ყოველწლიურად 2 მილიონ ევროს იღებს, ურუგვაელის ყოველწლიური ჯამაგირი კი ორჯერ მეტია — 4 მილიონი. ასე რომ, თუ რეკობა ლონდონში გადავა, ნაკლებ ხელფასზე ალბათ არ დათანხმდება. არადა, თურმე არსენ ვენგერს მისი ხილვა „ჰაიბერიზე" ძალიან სწადია. ამ ტრანსფერთან დაკავშირებით ყველაფერი მომავალ კვირაში გაირკვევა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლევიმ ეჭვები დახოცა

## ჰოდლს დეზები და ბიბილო დაუტოვეს



გლენ ჰოდლი

**ლონდონის** „ტოტენჰემმა", ქომაგთა აზრით, პრემიერლიგაში მისთვის შეუფერებელი ადგილი დაიკავა. სეზონის ბოლოს „მამალთა" მთავარ მწვრთნელ გლენ ჰოდლის წასვლას ვარაუდობდნენ. მის შემცვლელად კი „სელტიკის" თავკაცი მარტინ ონილი ანაც „ბლექბერნის" მწვრთნელი გრემ სუნესი მოიაზრებოდა.

„ტოტენჰემის" პრეზიდენტმა დენიელ ლევიმ ყველა ეჭვი ერთი წინადადებით მოსპო: „არავითარი ონილი და სუნესი. გუნდში კვლავაც გლენ ჰოდლი იმუშავებს. მე მას ასი პროცენტით ვენდობი, მან კი თავისი საქმე შესანიშნავად იცის".

ინგლისის ნაკრების ყოფილ თავკაცს სეზონის განმავლობაში გვარიანი კრიტიკა დაახალეს. განსაკუთრებით შეტევის ხაზს და ორგანიზებას უწუნებდნენ. ამჟამად გლენ ჰოდლი თავდასხმაში რობი კინის მეწყვილეს ეძებს.

შესაძლოა, ირლანდიელ ფორვარდს „ბლექბერნიდან" დუაიტ იორკი შეუწყვილოს. ბლექბერნელებთან მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს.

გარდა ამისა, „მამლებს" თვალი „მალიორკას" მეგოლე ვალტერ პანდიანისთვის დაუდგამთ. „ტოტენჰემი" მზადაა, მის სანაცვლოდ 12 მილიონი ევრო გაიღოს.

ვალტერ პანდიანი „დეპორტივოს" საკუთრებაა და „მალიორკამ" ერთი წლით ითხოვა. თავად მალიორკელებს ფინანსურად არ ულხინთ და გამორიცხული არაა, რომ „დეპორტივოს" თანხმობით ფეხბურთელი ლონდონში გაამგზავრონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

**მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატი**

ფილისყრა. ფინეთი. 13-30 აგვისტო

| | |
|---|---|
| **A ჯგუფი (ჰელსინკი)** | **C ჯგუფი (ტამპერე)** |
| ფინეთი, ჩინეთი, მექსიკა, კოლუმბია | იემენი, პორტუგალია, კამერუნი, ბრაზილია |
| **B ჯგუფი (ტურკუ)** | **D ჯგუფი (ლაჰტი)** |
| არგენტინა, ავსტრალია, კოსტა რიკა, ნიგერია | სამხრეთ კორეა, აშშ, ესპანეთი, სიერა ლეონე |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# რეზომოტივი

**ორწელიწადნახევრიანი** განშორების შემდეგ რევაზ ძოძუაშვილმა „ლოკომოტივი" ხელმეორედ ჩაიბარა. რკინიგზის დეპარტამენტის შეფმა აკაკი ჩხაიძემ საბოლოოდ არჩევანი მასზე შეაჩერა. გადამწყვეტი შეხვედრა რკინიგზული კლუბის ხელმძღვანელობასთან გუშინწინ შემდგარა და ორმხრივ მოლაპარაკებებს ბეჭედიც მაშინ დასმია.

ძოძუაშვილის „ლოკომოტივში" გამწვრთნელების ამბავი გუშინ კლუბის თავკაცებმაც გაახმოვანეს და არც დაუმალავთ, გუნდი ბატონ რეზოს ჩავაბარეთო.



რევაზ ძოძუაშვილი

რა თქმა უნდა, მოლაპარაკების დეტალები არ გახმაურებულა და პრინციპში ეს დიდად არც გვაინტერესებს. ცნობისმოყვარეობას ის უფრო ამძაფრებს, თუ რა გუნდის შექმნაზე დაიყაბულა აკაკი ჩხაიძემ ძველ-ახალი მწვრთნელი.

„ლოკომოტივის" პრეზიდენტს ახალგაზრდული, უპრეტენზიო გუნდის შეკოწიწება სურდა, რომელიც მაღალი მიზნებისთვის მხოლოდ ორი-სამი წლის შემდეგ იბრძოლებდა, მაგრამ ძნელად სარწმუნოა, საქართველოში ტიტულიანი და მეტად ამბიციური ძოძუაშვილი ჩხაიძეს ბაგა-ბაღის მასწავლებლობაზე დაჰყაბულებოდა.

გუშინ ვერც აკაკი ჩხაიძე მოვიხელთეთ და ვერც ძოძუაშვილს მივაგენით, თუმც საახალსეზონოდ როგორი გუნდი იქნება „ლოკომოტივი", სულ მალე შევიტყობთ.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ „ლოკომოტივმა" თავისი პირველი ტიტული სწორედ ძოძუაშვილის მწვრთნელობისას მოიმკო.

**მამუკა ქვანტალიანი**

# იონანიძემ ბინა მოსკოვში დაიდო

## წვრილი ფორმალობა და მსხვილი იმედი

**ქუთაისის „ტორპედოს"** ლიდერი და საქართველოს მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის მთავარმეგოლის ზურაბ იონანიძის უკრაინაში წასვლის შესახებ უკვე გამცნეთ. იონანიძემ სიმფეროპოლის სასტუმრო „მოსკოვში" დაიდო ბინა და მეორე დღეა, „ტავრიას" ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვარჯიშობს.

გიგიაძე-ტრაპაიძე-ჩომახიძის „ტავრიაში" მეოთხე ქართველის გაწევრიანებას ბევრიც არაფერი უდგას წინ. როგორც გავიგეთ, იონანიძემ ვარჯიშებზეც ერთობ მოაწონა თავი კლუბის ხელმძღვანელობას და დღე-დღეზე ალბათ კონტრაქტიც გაფორმდება. თუმც აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ტავრიას" წარმომადგენლებს „ტორპედოს" აწ უკვე ყოფილი კაპიტანი საქმეში უნახავადაც ჰყავდათ ამოღებული მიზანში.

ახლა გასარკვევი წვრილ-წვრილი ფორმალობებიღა დარჩა და წესით, მალე ამასაც მოევლება. ქუთაისის „ტორპედოდან" არცთუ უცხო გარემოში მოხვედრილი 31 წლის იონანიძე კი მომავალი სეზონიდან თუ მოირგებს „ტავრიას" მაისურას. უკრაინის მიმდინარე ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურიღა დარჩა და კლუბებს სწორედ ამის შემდეგ მიეცემათ სატრანსფერო საქმეების მოგვარების უფლება.

მანამდე კი იონანიძე მხოლოდ ვარჯიშით თუ დაკმაყოფილდება...

**ძახა შალამბერიძე**



ზურაბ იონანიძე



დიმიტრი პარამონოვი (ბურთით) ფეხბურთს და საქართველოს ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა

# დიმიტრი პარამონოვი უმაღლესში აღადგინეს

## მცხეთაში დიდი თურქობა გადავარდა

**საქართველოს** ეროვნულ ჩემპიონატს ერთწლიანი შესვენების შემდეგ 23 წლის თავდამსხმელი დიმიტრი პარამონოვი უბრუნდება. თბილისურ „ლოკომოტივისა" და ქუთაისური „ტორპედოს" ყოფილი ფეხბურთელი ამჯერად უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „მცხეთამ" შეიკედლა. პარამონოვს საქართველოს ჩემპიონატში აქამდე 28 მატჩი უთამაშია და 3 გოლი გაუტანია. წინა სეზონი კი მას გაუთავებელი ტრავმების გამო გაუცდა. ახლა „მცხეთის" ახალწვეულმა მძიმე პერიოდი უკან მოიტოვა. ფეხი კი პარამონოვმა რუსეთში იტკინა. სეზონის წინ ელისტის „ურალანში" გამთავარმწვრთნელებულ რევაზ ძოძუაშვილის მეთვალყურეობით მოვარჯიშე დიმიტრი ვარჯიშისას ისე დაშავდა, რომ მას შემდეგ ბურთზე ფეხი არ დაუკარებია.

ჰოდა, პარამონოვიც უქმად იყო, გუშინ კი მისი შემატება „მცხეთის" მწვრთნელმა თემურ ჩხაიძემაც დაგვიდასტურა:

— მოლაპარაკებები მიდის და, ალბათ, წარმატებითაც დასრულდება. პარამონოვი თითქმის „მცხეთის" ფეხბურთელია. მის გარდა ირაკლი სირბილაძეც გადმოვიბირეთ. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა ირაკლი სირბილაძე თბილისის „ლოკომოტივში" თამაშით თუ გეხსომებათ. ამპლუით ისიც თავდამსხმელია.

და კიდევ. „მცხეთა" თვეების წინ პომპეზური პრეზენტაციით მიწვეულ თურქ ფეხბურთელებს გამოეთხოვა. თემურ ჩხაიძის თქმით, თურქი ლეგიონერების საქართველოში დარჩენა გამორიცხულია. ისინი ალბათ სამშობლოში დაბრუნდებიან. კონტრაქტგაფორმებული ერბაი ჯიჰან კალგანი, ოკაი ორუჩი და ოკტაი კილიჩასლანი საქართველოს ისე გაეცალნენ, რომ „მცხეთაში" ერთხელაც არ უთამაშიათ.

— როგორც მივხვდი, უმაღლეს ლიგაში გადასვლა უფრო იოლი ყოფილა, ვიდრე მერე გუნდის გაკეთება. ვნახოთ, ძალებს არ დავიშურებთ, რომ ღირსეულად ვითამაშოთ. უახლოეს მომავალში გუნდის კრება გაიმართება და მერე უფრო კონკრეტულად მეცოდინება, რა მიზნები გვექნება — გვითხრა თემურ ჩხაიძემ.

**ძახა ზალამბერიძე**



ერბაი ჯიჰან კალგანი მცხეთელი ქიალდზელი იყო

# იმედაძეს ჯიქიასკენ ექაჩებიან

**ნაადრევად დაიწყო** საახალსეზონოდ მზადება თბილისურმა „მერანი-ოლიმპმა". თუმც უფრო მართებული იქნება, თუ დღეის იქეთ ჯიქიელებს მხოლოდ ოლიმპელებად მოვიხსენიებთ. ამიერიდან „მერანი" ქართული საფეხბურთო ისტორიის ნაწილია, რასაც კლუბის თავკაცებიც ადასტურებენ.

თემურ ლორთქიფანიძის გუნდმა ორი დღე სამედიცინო შემოწმებაზე იარა და გუშინ წვრთნასაც შეუდგა. მწვრთნელმა შეგირდები თბილისურ მიებში წაიყვანა და კუს ტბის შემოგარენში გვარიანად დატვირთა, თანაც წინასწარ გააფრთხილა, უფრო დიდი დატვირთვებისთვის გაემზადეთო.

„ოლიმპში" ჯერჯერობით ახალწვეული არავინაა, თუ რამდენიმე უწვერულ ახალბედას არ ჩავთვლით, გუშინდელ წვრთნაზე უკვე ნაცადი შემადგენლობა გამოცხადდა.

ერთადერთი დანაკლისი მეკარეთა მწვრთნელი ლევან აბაშიძეა, ვისაც „დინამომ" გაცილებით ხელსაყრელი პირობები შესთავაზა. „ოლიმპი" და აბაშიძეც ერთმანეთს კეთილი სურვილებით დაშორდნენ.

თემურ ლორთქიფანიძის გუნდი, რომელსაც საახალსეზონოდ ზეექვსეულში მოხვედრა დაუსახავს მიზნად, ალბათ, ახალი ფეხბურთელებით გაძლიერდება. უპირველესი სამიზნე ქუთაისური „ტორპედოსა" და თურქული „ქოჯაელის" ყოფილი თავდამსხმელი გიორგი იმედაძეაო, ამბობენ, თუმც ჯერჯერობით ამ ფაქტს არც კლუბი ადასტურებს და არც ფეხბურთელს დასცდენია სიტყვა.

**მამუკა ძგანტალიანი**

*ათ დღეში ბრინჯაოსანი „ვიტ ჯორჯია" ინტერტოტოს თასზე ავსტრიულ „პაშინგს" სტუმრად გაეჯიბრება. ვიტელები უკვე რამდენიმე დღეა, ვარჯიშობენ, ხოლო კლუბის თავკაცები ორგანიზაციულ პრობლემებს აგვარებენ.*

*ვეტერინართა თავკაც გურამ რუხაძესთან სალაპარაკო დაგვიგროვდა — როგორ აფასებს კლუბის პრეზიდენტი წლევანდელ მონაგარს, რა იმედებით ელოდებიან ავსტრიელებთან ორმატჩიან დუელს და რა ელის სამომავლოდ „ვიტ ჯორჯიას"?*

*ჩვენს კითხვებზე მყისიერი პასუხები მივიღეთ, ვეტერინართა ბანაკში მშვიდობა არის და იქნებაო, ირწმუნება ყველაზე მთავარი ვიტელი*



# სტაბილური ბრინჯაოსანი

## გურამ რუხაძემ ვიტ ჯორჯიას წარსული და მომავალი შეაჯერა

**— როგორც კლუბის თავკაცს, „ვიტ ჯორჯიას" წლევანდელი მონაგარი თუ გაკმაყოფილებთ?**

— ამ კითხვას ცალმხრივად ვერ ვუპასუხებ. მეთოთხმეტე ჩემპიონატმა ჩემს გუნდს დადებითი მუხტი შესძინა, თუმც გარკვეულწილად იმედიც გაგვიცრუა.

ბრინჯაოს მედალმა კლუბის ისტორია გაამდიდრა. ჩვენი იმიჯი და ავტორიტეტი ამაღლდა და ვთვლი, რომ საქართველოში „ვიტ ჯორჯია" ერთ-ერთ პრესტიჟულ გუნდად ჩამოყალიბდა.

სწორედ წლეულს დასრულდა ის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც დაარსების დღიდან ამოქმედდა. ვერცხლი, ბრინჯაო და ზედიზედ ოთხწლიანი საევროპო ვოიაჟი გარკვეული იმედების საბაბს გვიტოვებს. ჩვენ ფინანსურად სტაბილურ კლუბად ჩამოვყალიბდით, გუნდს უკვე თავისი ხელწერა აქვს, აგრეთვე რამდენიმე ტაქტიკური მონახაზი და მაღალი სათამაშო დისციპლინა. 1998 წელს საქმიანობა ფაქტობრივად ცარიელ ადგილზე დავიწყეთ, ამ მხრივ კი არ შეიძლება, მიღწევით უკმაყოფილება გამოვთქვა.

ახლა ვითარება სხვა კუთხით გავაანალიზოთ. ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე „ვიტ ჯორჯია" პირველობას ინარჩუნებდა. გუნდს თავდაპირველ მიზნად უეფას საგზურის მოპოვება დავუსახეთ, მაგრამ ბოლოს საქმეები ისე აგვეწყო, რომ არც ჩემპიონობა იყო შორს. საბოლოოდ ხელთ ბრინჯაო შეგვრჩა, რამაც ძალიან გამაწბილა. ჩემპიონობას ვინ ჩივის, პროგრამა-მაქსიმუმიც ვერ შევასრულეთ.

**— „ვიტ ჯორჯიას" მესაჭეს, ჯანი კარნევალის ნაღვაწი დადებითად შეუფასეთ?**

— რადგანაც დასახულ მიზანს ვერ ვეწიეთ, ბუნებრივია, სიხარულის საბაბი არ გვქონდა. ჯანისაც მსუბუქად, მაგრამ ეს ვუსაყვედურეთ, თუმც წამითაც არ გვიფიქრია, მასთან თანამშრომლობა შეგვეწყვიტა. კარნევალის არაერთი დადებითი თვისება აქვს, პრინციპული და სამართლიანი კაცია. „ვიტ ჯორჯია" სწორედ მის ხელში ჩამოყალიბდა შემტევი სტილის გუნდად და ვეტერინართა წინსვლის ახალი ეტაპიც მისი თავკაცობით დაიწყება.

**— კი მაგრამ, გუნდი ხომ ასე ახლოს იყო ჩემპიონობასთან, ბოლო თამაშებში კი კარნევალის აშკარა შემტევმა ტაქტიკამ დაცვა მოაშიშვლა, რამაც ბოლო თამაშებში შედეგი ვერ მოიტანა.**

— ჩემი აზრით, ჩვენი პრობლემა დაცვის სუსტი თამაში არ ყოფილა. პირიქით, დასკვნითი ეტაპის ექვსი თამაში „ვიტ ჯორჯიას" უკანა ხაზმა და მეკარემ გოლის გაუშვებლად ჩაამთავრა. კარნევალის სამკაციანი, ზოგჯერ სულაც ორმოთამაშიანი დაცვა, რომელიც გამოკვეთილად ხაზზე ირჯებოდა, საიმედო იყო. აუგი არც შუა ხაზზე და თავდასხმაზე გვეთქმის. „ვიტ ჯორჯიას" უპირველესი პრობლემა საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალი მაჩვენებელი იყო. შექმნილი მომენტების მესამედიც რომ გამოგვეყენებინა, გაცილებით მაღალ ადგილზე აღმოვჩნდებოდით. თანაც ბოლო მატჩებში გადაღლილობამ იჩინა თავი, ინტერტოტოზე ზედიზედ ორწლიანმა თამაშმა „ვიტ ჯორჯიას", ფაქტობრივად, დასვენების დრო აღარ დაუტოვა.

**— ბევრი ამიტომაც ვარაუდობდა, რომ წლეულს თქვენი გუნდი, სხვების დარად, ინტერტოტოზე უარს იტყოდა.**

— ჩვენ სულ სხვაგვარად ვფიქრობთ. ოფიციალურ ევროპულ შეჯიბრებაზე არც ერთმა აქაურმა კლუბმა არ უნდა თქვას უარი. ჩვენ ისედაც შორს ვართ ევროპული დონისგან და დღევანდელი უარი სახვალიოდ ცუდ სამსახურს გაგვიწევდა. კლუბმა ყველაფერზე ითათბირა, ჩვენს ფინანსურ შესაძლებლობებსაც გადავხედეთ, ყველა ხარჯი დავთვალეთ და გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ მივიღეთ. ინტერტოტოზე თამაში „ვიტ ჯორჯიას" ვერ აზარალებდა, თანაც კლუბის ისტორიაშიც ასე ჩაიწერება, ევროპაში პაუზის გარეშე ითამაშა.

**— თქვენ თქვით, „ვიტ ჯორჯია" ახალ აღმართს შეუყვებაო. ბუნებრივია, კლუბს განვითარების მეორე ეტაპზე უფრო მაღალი მიზნები ექნება, რაც დამატებით ხარჯებსაც მოითხოვს. „ვიტ ჯორჯია" ყოველივეს გასწვდება?**

— ვერავინ იტყვის, ვეტერინარები აქამდე ფინანსურმა პრობლემებმა შეაწუხაო. ჩვენი ერთ-ერთი დადებითი მხარე ფინანსური სტაბილურობაა. კლუბის ბიუჯეტი სამომავლოდ კიდევ გაიზრდება და ვეცდებით, უეფას საგზური მომავალ ჩემპიონატშივე მოვიპოვოთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემპიონობაზე ამთავითვე უარს ვამბობთ. მართალია, „დინამოს" წინააღმდეგობის დაძლევა ურთულესი საქმეა, მაგრამ ცდა ხომ ბედის მონახევრეა.

„ვიტ ჯორჯია" ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ, მცხეთაში სტადიონი გვაქვს, სადაც ნელ-ნელა მიმდინარეობს სამუშაოები და ერთ დროს კეთილმოწყობილი ბაზაც გვექნება. ჯერ კლუბი მხოლოდ ხუთი წლისაა, წინ კიდევ ბევრი სამუშაო და არაერთი სოლიდური პროექტი გველის, ამიტომ არსად გვეჩქარება.

**— უკვე ბევრჯერ მოვისმინეთ და სულაც არ არის გამორიცხული, „ვიტ ჯორჯია" რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვოს და უცხოეთს მიაშუროს.**

— ჩვენ ამისთვის მზად ვართ. გუნდიდან ორი, მაქსიმუმ სამი ფეხბურთელი შეიძლება მართლაც წავიდეს. ისინი გაცილებით მაღალ დონეზე თამაშს იმსახურებენ და მათი დაკავება არც წმინდა ადამიანური თვალსაზრისით იქნება გამართლებული. თანაც, მათი ტრანსფერი კლუბს ფინანსურ მოგებასაც მოუტანს, რაც კლუბის სამომავლო პროექტების განხორციელებას დააჩქარებს.

წასულების სანაცვლოდ ფეხბურთელების მოწვევას და მათ სხვაგან ძიებას არ ვაპირებთ. ვეტერინარული კლუბის იერარქიული სისტემა იმის გარანტიას იძლევა, რომ დანაკლისი ჩვენივე კადრებით შევავსოთ. თსუ, „ვიტ ჯორჯია 2", „კაკე 91", საფეხბურთო სკოლა „შევარდენი" და თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემია ერთობლივად ნიჭიერ თაობებს იძლევიან. თავად განსაჯეთ, იმედაშვილი, კვახაძე, ფეიქრიშვილი, ლომაია, დათუნაიშვილი, მალიჩავა, მერებაშვილი, მარცვალაძე... ეს ის ნიჭიერი ბიჭები არიან, რომელთა ნაწილმა ძირითად გუნდში თავისი სიტყვა უკვე თქვა, ნაწილი კი წლეულს ითამაშებს. ასე რომ, „ვიტ ჯორჯიას" ორი-სამი კაცის გამოკლება ვერ დაასუსტებს.

**— ათ დღეში „პაშინგთან" პირველი მატჩი გელით. რა იცით მეტოქეზე?**

— ჩვენი საინფორმაციო სამსახური მეტოქეს უკვე სწავლობს. „პაშინგი" ავსტრიულ ელიტაში წლეულს გაერია. სოლიდური გუნდი ჩანს და ბოლო ტურებამდე საპრიზოებისთვის იბრძოდა. 4 ლეგიონერი ჰყავთ, ნიგერიელი, თურქი, პოლონელი და სერბი. განსაკუთრებით ნიგერიელი ჯორჯ დატორე გამოირჩევა, რომელიც ვენის „აუსტრიიდან" გადაბირებული ფორვარდია. „პაშინგის" ორი მოთამაშე ავსტრიის ეროვნული გუნდის წევრია. ვიცით, რომ გუნდიდან 5 ფეხბურთელი დაითხოვეს, მათ შორის ბელარუსი ალექსანდრ მეტლიცკიც. „პაშინგში" ჩვენი ძველი ნაცნობი და მეტოქე თამაშობს. მონტენეგრო ბაუერი „როდის" ფეხბურთელი იყო და შარშანწინ ჩვენს წინააღმდეგ ორივე მატჩში მიიღო მონაწილეობა. ძალისმიერი და ათლეტური მეტოქე გვყავს, ფეხბურთელთა უმეტესობის სიმაღლე 185 სანტიმეტრს აღემატება. ძირითადად 3-5-2 ტაქტიკური სქემით თამაშობენ, რასაც არცთუ იშვიათად 5-3-2-ს უნაცვლებენ. ცნობების შეგროვებას კიდევ ვაგრძელებთ და იმედი გვაქვს, თამაშამდე ამომწურავი ინფორმაციები გვექნება.

**— როდის და რამდენი მოთამაშით გაემგზავრებით ავსტრიაში?**

— ორი მარშრუტი ავარჩიეთ და ორივეზე ადგილები დავჯავშნეთ. ერთია თბილისი — ვენის საჰაერო რეისი, მეორე კი თბილისი — პრაღა. პაშინგამდე ორივე ქალაქიდან თანაბარი მანძილი, სამასი კილომეტრია. ჩვენ 21 ივნისს, ალბათ, პრაღაში ჩავფრინდებით. ეს მარშრუტი ჩვენთვის უფრო მოსახერხებელია. რაც შეეხება შემადგენლობას, „ვიტ ჯორჯიას" საინტერტოტო 25-კაციან განაცხადს ორიოდ დღეში მოგაწვდით.

**მამუკა ძგანტალიანი**

2003 წლის 14 ივნისს, 15 საათზე, სკ „ვიტ ჯორჯიას" ოფისში, თამარაშვილის 19, შედგება გულშემატკივართა კლუბის შეკრება.
მსურველებს გთხოვთ, მობრძანდეთ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარეს ანატოლი მილჩენკოს დედის გარდაცვალების გამო

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარეს ანატოლი მილჩენკოს დედის გარდაცვალების გამო

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარეს ანატოლი მილჩენკოს დედის გარდაცვალების გამო

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVII ტური** | | | | | | | | |
| **15 ივნისი** | | | | | | | | |
| 21.00 | 003 | [illegible] | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 21.00 | 004 | [illegible] | 1.75 | 3.3 | 4.4 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 21.00 | 005 | [illegible] | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 21.00 | 006 | [illegible] | 1.65 | 3.5 | 4.8 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 24.00 | 007 | [illegible] | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 24.00 | 008 | [illegible] | 4.6 | 3.4 | 1.7 | 1.95 | 1.24 | 1.13 |
| 24.00 | 009 | [illegible] | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 24.00 | 010 | [illegible] | 2.9 | 3.2 | 2.3 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 24.00 | 011 | [illegible] | 1.65 | 3.5 | 4.8 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 24.00 | 012 | [illegible] | 2.0 | 3.3 | 3.4 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| **დანია XXXI ტური** | | | | | | | | |
| **14 ივნისი** | | | | | | | | |
| 20.00 | 032 | [illegible] | 2.7 | 3.3 | 2.35 | 1.48 | 1.25 | 1.37 |
| **15 ივნისი** | | | | | | | | |
| 18.00 | 033 | [illegible] | 2.0 | 3.4 | 3.3 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 18.00 | 034 | [illegible] | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 18.00 | 035 | [illegible] | 5.0 | 3.6 | 1.6 | 2.09 | 1.21 | 1.1 |
| 18.00 | 036 | [illegible] | 2.2 | 3.3 | 3.0 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 20.35 | 037 | [illegible] | 1.5 | 3.6 | 6.5 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| **რუსეთი. XII ტური** | | | | | | | | |
| **12 ივნისი** | | | | | | | | |
| 16.00 | 045 | [illegible] | 1.35 | 4.0 | 9.0 | 1 | 1.17 | 2.76 |
| | 046 | [illegible] | 1.9 | 3.2 | 2.7 | | | |
| 16.00 | 047 | [illegible] | 3.5 | 3.2 | 2.0 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| **ნორვეგია. X ტური** | | | | | | | | |
| **14 ივნისი** | | | | | | | | |
| 22.00 | 055 | [illegible] | 1.3 | 4.6 | 9.0 | 1.01 | 1.13 | 3.04 |
| | 056 | [illegible] | 1.75 | 3.2 | 3.0 | | | |
| **15 ივნისი** | | | | | | | | |
| 21.00 | 057 | [illegible] | 2.5 | 3.4 | 2.4 | 1.44 | 1.22 | 1.4 |
| 21.00 | 058 | [illegible] | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |
| 21.00 | 059 | [illegible] | 1.95 | 3.5 | 3.3 | 1.25 | 1.22 | 1.69 |
| 21.00 | 060 | [illegible] | 2.35 | 3.4 | 2.45 | 1.42 | 1.22 | 1.42 |
| 21.00 | 061 | [illegible] | 2.5 | 3.4 | 2.4 | 1.44 | 1.22 | 1.4 |
| **16 ივნისი** | | | | | | | | |
| 22.00 | 062 | [illegible] | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| **პორტუგალია. თასი. ფინალი (ლისაბონში)** | | | | | | | | |
| **15 ივნისი** | | | | | | | | |
| 21.15 | 076 | [illegible] | 1.5 | 3.6 | 6.5 | 1.05 | 1.21 | 2.31 |


სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| **თბილისი** | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინოშვილი-რიშელის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1[ა] კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| **ქუთაისი** | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ქავჟავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| **გორი** | ცხინვალის გზატკეცილი №11 | ნმინდანელის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| **თელავი** | კოსტავას ქუჩა №23 | |
| **რუსთავი** | მარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| **ბათუმი** | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერის ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| **ხელვაჩაური** | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| **მარნეული** | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| **ოზურგეთი** | გურიის ქუჩა №23 | |
| **გურჯაანი** | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| **ფოთი** | რკალი, რუსთაველის №18 | |
| **საგარეჯო** | დავით ალმაშენებლის №30 | |
| **სამტრედია** | რუსთაველის გამზირი №27 | |
| **ხაშური** | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| **წნორი** | სტალინის ქუჩა №1 | |
| **ბორჯომი** | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| **ზესტაფონი** | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| **ახალციხე** | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| **ქობულეთი** | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| **სარფი** | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ფორმულა 1. კანადა. 14 ივნისი (13.00)

| 4001 გამარჯვებული | | სამეული | | ექვსეული | | 4002 უსწ. წრე |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,6 | 4101 | 1,15 | 4201 | 1,1 | 1,6 |
| ბარიკელო | 5,0 | 4102 | 1,55 | 4202 | 1,2 | 4,0 |
| რაიკონენი | 6,0 | 4103 | 1,7 | 4203 | 1,25 | 4,6 |
| კულტჰარდი | 8,0 | 4104 | 1,9 | 4204 | 1,25 | 7,0 |
| მონტოია | 8,0 | 4105 | 2,0 | 4205 | 1,25 | 4,6 |
| რ.შუმახერი | 15,0 | 4106 | 3,3 | 4206 | 1,3 | 12,0 |
| ალონსო | 25,0 | 4107 | 3,6 | 4207 | 1,3 | 25,0 |
| ტრული | 35,0 | 4108 | 6,0 | 4208 | 1,8 | 35,0 |
| ბატონი | 75,0 | 4109 | 15,0 | 4209 | 2,3 | 100,0 |
| ფრენცენი | 75,0 | 4110 | 15,0 | 4210 | 3,0 | 100,0 |
| ჰაიდფელდი | 75,0 | 4111 | 15,0 | 4211 | 3,0 | 100,0 |
| ვილნევი | 75,0 | 4112 | 15,0 | 4212 | 3,0 | 100,0 |
| ფიზიკელა | 75,0 | 4113 | 15,0 | 4213 | 3,0 | 100,0 |
| პანისი | 75,0 | 4114 | 15,0 | 4214 | 3,0 | 100,0 |
| ვებერი | 75,0 | 4115 | 15,0 | 4215 | 3,0 | 100,0 |
| და მატა | 75,0 | 4116 | 15,0 | 4216 | 3,0 | 100,0 |

| 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|
| ფერარი | 1,4 |
| მაკლარენი | 3,3 |
| უილიამსი | 5,0 |
| რენო | 15,0 |
| ზაუბერი | 40,0 |
| ბარ | 40,0 |
| ჯორდანი | 50,0 |
| ტოიოტა | 50,0 |
| იაგუარი | 50,0 |
| მინარდი | 200,0 |


## სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1[ა] კორპუსი

**კროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00–21.30**

**კვირა 12.00–20.30**

# გუნდი, რომელშიც ქალები რობინჰუდობენ

*ფაქტია, საქართველოში სპორტსმენი ვაჟები ქალებზე ბატონობენ. ისინი მართლაც ლამის ყველაფერში პირველობენ, მაგრამ მშვილდოსნობაში საქმე ისე ნამხდარა, რომ ქალები რობინჰუდობენ.*

*ამ სახეობაში მოპოვებული ოლიმპიური თითო ოქროსა და ბრინჯაოს მედალი სწორედ ჩვენი ქალების ანგარიშზეა. ამასთან, ჩვენი მშვილდოსანი ქალები ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციაში ერთადერთნი იყვნენ, ვინც სრული გუნდით იბრძოდნენ. ისინი ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც სრული გუნდით აპირებენ გამოსვლას, მანამდე კი, რაღა თქმა უნდა, ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვებაა საჭირო.*

*ვინ, როგორ და რა პირობებში ემზადება სალიცენზიოდ, ამის გასარკვევად ვესაუბრეთ საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტს, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგს ქეთევან ლოსაბერიძეს. იგი მშვილდოსანთა ფედერაციის მეთაურად შარშან გაზაფხულზე აირჩიეს. სწორედ მაშინ საქართველოში მშვილდოსნობა სროლის ფედერაციას გამოეყო და დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა.*



ქეთევან ლოსაბერიძემ თავისი ისრები უკვე ისროლა და ახლა სხვებზე ზრუნავს

**— რა მდგომარეობა დაგხვდათ მშვილდოსნობაში?**

— ბოლო წლებში მიმდინარე პოლიტიკურმა და სოციალურმა მოვლენებმა, სამწუხაროდ მშვილდოსნობასაც თავისი დაღი დაასვა. უსულგულო ჩინოვნიკების ხელში გაიყიდა და გაპარტახდა მშვილდოსნობის ბაზები, ინვენტარიც დაიტაცეს, მიითვისეს, გაყიდეს თუ გააჩუქეს; დაიწყო წამყვან სპორტსმენთა და მწვრთნელთა მიგრაცია. ეს სახეობა მთელ საქართველოში ჩაკვდა. ერთადერთი გამონაკლისი იყო აჭარა, რომელმაც მშვილდოსნობა შემოგვინახა, ორი ოლიმპიური თამაშები გამოატარა და აქამდე მოიყვანა.

**— თქვენი სახით საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის სათავეში საუკეთესო სპეციალისტი მივიდა და როგორც მისმა დიასახლისმა, ამ საზოგადო ოჯახს ხელი როგორ დაატყვეთ?**

— ჯერ კიდევ შარშანწინ მშვილდოსნობის საინიციატივო ჯგუფი ჩამოვაყალიბეთ. მერე სროლის ფედერაციასაც გამოვეყავით, გენერალურ მდივნად კი წარსულში ცნობილი მშვილდოსანი, ახლა საქართველოს ოლიმპიური აკადემიის პრეზიდენტი ლელა აფციაური ავირჩიეთ, პირველ ვიცე-პრეზიდენტად — პარლამენტარი ანზორ გოგიტიძე.

რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციასთანაც დავამყარეთ კავშირი, რომელმაც დახმარების ხელი გამოგვიწოდა, როცა ექვსი მშვილდი და 72 ისარი გვაჩუქა. მართალია, ეს მშვილდ-ისარი დიდი სპორტისთვის არ გამოდგება, მაგრამ ჩვენს მოზარდ თაობას სავარჯიშოდ წაადგება.

თავდაპირველად თბილისში ამ სახეობის გამოცოცხლება დავისახეთ მიზნად. ამის მერე მშვილდოსნობის აღორძინების ცდები საქართველოს სხვა რეგიონებშიც დავიწყეთ. ქუთაისის მერიას პირადად ვთხოვე, რომ იქ როგორმე მშვილდოსნობის სექციის მუშაობა დაეფინანსებინა და მანაც არ დამალალატა.

პირადად თხოვნით ვეწვიე საქართველოს პრეზიდენტს, რათა მშვილდოსნობისთვის სტაციონალური ბაზის შესაქმნელად დახმარება აღმოეჩინა. ამ ვიზიტის შედეგად მშვილდოსნობის ეროვნულ ფედერაციას უსასყიდლოდ გადასცეს თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიაზე არსებული დაუმთავრებელი საბოილერო შენობა, რომელიც რეკონსტრუქციისა და გარემონტების შემდეგ, თავისი მიმდებარე ტერიტორიით შესანიშნავ სპორტულ ბაზად გადაკეთდება. ახლა ველით ქველმოქმედ ან დაინტერესებულ ბიზნესმენს, რათა გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ შესაძლებელი გახდეს მისი ექსპლოატაცია, იქ ვარჯიშებისა და შეჯიბრებების გამართვა. მისი სათანადოდ მოწყობის შემთხვევაში აქ შეიძლება განვითარდეს არა მარტო კლასიკური მშვილდოსნობა, არამედ სამონადირეო და არბალეტით სროლაც.

**— ამბობთ, ქველმოქმედს ან დაინტერესებულ ბიზნესმენს ველით, მაგრამ ჩვენთან, აბა, სად არის უანგარო ქველმოქმედება, ბიზნესმენები კი ისე საქმით არ დაინტერესდებიან, თუ მოგებას უმალ არ ნახავენ. ამიტომ მგონია, რომ იმ დაინტერესებულ ბიზნესმენს ამაოდ ელით.**

**ისე, ნორმალურ ქვეყნებში ისეთი კანონები აქვთ, რომ სპორტულ ფედერაციებს სამოწყალო არაფერი ჭირთ და სპონსორთა ხარჯზე არიან. აქედან, რაღა თქმა უნდა, თავად სპონსორებიც დიდად ხეირობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან ასეთი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად იქ, ზემოთ, ეტყობა, არავინ ფიქრობს.**

— სხვათა შორის, ამას წინათ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე მისი ერთ-ერთი წევრთაგანი დაინტერესდა, თქვენი ფედერაცია სახსრებს სად და როგორ შოულობსო. აბა, მე თხოვნის მეტი რა შემიძლია, მშვილდისარშემართული თავზე ხომ არავის დავადგები-მეთქი.

**— ახლა იმ აღმასკომის წევრივით ჩვენც იგივე გვაინტერესებს, სად შოულობთ სახსრებს?**

— ჩვენს ფედერაციას დაარსების დღიდანვე მძიმე ფინანსური მდგომარეობა აქვს. მართალია, შარშან მთლიანად სროლის სახეობებისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული 60 ათასი ლარიდან მშვილდოსნებმა ჩვენი კუთვნილი 20 000 მივიღეთ, მაგრამ ეს თანხა ფინეთში ევროპის ჩემპიონატზე თუნდაც მხოლოდ ქალთა გუნდის გამოსასვლელადაც კი არ იყო საკმარისი. ამ დროს დახმარების ხელი გამოგვიწოდეს საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და ოლიმპიურმა ფონდმა. მათ მიერ გადმოცემული თანხის დამატებით შევძელით არა მარტო ევროპის ჩემპიონატზე ქალთა ნაკრები გუნდის მივლინება, არამედ უზრუნველვყავით მისი მონაწილეობა თურქეთის ქალაქ ანთალიაში გამართულ „ა“ კლასის დიდი პრიზის ტურნირზე.

ოლიმპიური ფონდის სახსრებით, პირველად ბოლო 20 წლის განმავლობაში, თბილისისთვის შევიძინეთ ერთი თანამედროვე მშვილდი, ხოლო ნაკრები გუნდისთვის ისრების ოთხი კომპლექტის შესაძენი თანხაც გადმოგვირიცხეს.

ამასთან, ოლიმპიური ფონდიდან სამი მშვილდოსანი და ერთიც მწვრთნელი კვებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან თანხას იღებს.

რაც შეეხება საკუთარ ძალებს, შარშან და წლეულს თბილისის პირველობის ჩატარება მოვახერხეთ, სპორტის დეპარტამენტმა კი წლევანდელი ზამთრისა და ზაფხულის ჩემპიონატები დაგვიფინანსა.

ამას გარდა, წლეულს მოვახერხეთ ანტალიაში მწვრთნელთა სემინარზე ორი თბილისელი სპეციალისტის გაგზავნა. ამ კურსებზე იყო ერთი ბათუმელი მწვრთნელიც, რომლის მონაწილეობაც აჭარის მშვილდოსნობის ფედერაციამ უზრუნველყო.

**— ასეა თუ ისე, შეჯიბრებებსა და სემინარებში მონაწილეობის სახსრები გიშოვიათ, მშვილდ-ისარიც შეგიძენიათ. გამოდის, რომ დიდი პრობლემები აღარ გაწუხებთ?**

— ეს ყველაფერი მაინც ზღვაში წვეთია. როგორც ვთქვი, ჩვენი, საერთაშორისო ფედერაციის მიერ ნაჩუქარი მშვილდ-ისარი დიდი სპორტისთვის გამოუსადეგარია. ოლიმპიური ფონდის დახმარებით ნაყიდი ერთი იარაღი კი გუნდს რას ეყოფა?!

სხვათა შორის, ნორმალური მშვილდი 1500 დოლარი და მეტიც ღირს. შეჯიბრებებზე კარგი მშვილდისრით 10-20 ქულით მეტის მოპოვება შეიძლება. ამიტომაც მათ დახვეწაზე მთელი ინსტიტუტები მუშაობენ. ასე რომ, კარგი მშვილდისრით გუნდის წევრთა აღჭურვა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

ამიტომ ვატყობ, ოლიმპიური ლიცენზიების მოსაპოვებლად ბრძოლა ძველი იარაღით მოგვიწევს და როცა ლიცენზიებს დავიმსახურებთ, იმედია, მერე მაინც გვიყიდიან თანამედროვე მშვილდ-ისარს.

მაგრამ, ცხადია, სპორტსმენის დასაოსტატებლად არც მხოლოდ კარგი მშვილდ-ისარია საკმარისი. სპორტსმენი ძირითადად მაინც შეჯიბრებებში ოსტატდება და იქვე იძენს გამოცდილებას. ამიტომაც იგი სისტემატურად უნდა მონაწილეობდეს სხვადასხვა დონის ასპარეზობებში.

ჩვენმა ფედერაციამ საერთაშორისო და ადგილობრივი შეჯიბრებების გათვალისწინებით შეიმუშავა ნაკრები გუნდის 2003 წლის შეჯიბრებათა კალენდარული გეგმა. ამ გეგმის სრულყოფილად შესრულებისთვის 173 000 ლარი იყო აუცილებელი, სპორტის დეპარტამენტმა კი საერთო გაჭირვების გათვალისწინებით 58 ათასი გამოგვიყო. ეს თანხა საკმარისია მხოლოდ ერთ შეჯიბრებაზე, მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსასვლელად, რომელიც ამერიკაში გაიმართება. იქ ოლიმპიური თამაშების ლიცენზიათა 80 პროცენტიც განაწილდება, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ამერიკაში გასამგზავრებელი ფულით დავაფინანსეთ ხორვატიაში „დიდი პრიზის“ პირველ ეტაპზე გუნდის გამოსვლა, რაც ასევე აუცილებელი იყო. ამ ასპარეზობის მეორე ეტაპისთვის ისევ და ისევ ოლიმპიური კომიტეტი და ოლიმპიური ფონდი დაგვეხმარნენ.

ჩვენს ბედად ამ ასპარეზობის მესამე ეტაპი ანთალიაში ტარდება. იქ თურქეთის მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ჩვენს რვა წარმომადგენელს საკუთარი ხარჯით იღებს და ახლა მხოლოდ იქამდე მგზავრობის ხარჯების მოძიება მოგვიწევს.

ასეა თუ ისე, ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი ქალთა ნაკრების წევრები ოლიმპიურ ლიცენზიებს მოიპოვებენ და ოლიმპიურ თამაშებზეც სრული გუნდით წარვდგებით. ასეთ შემთხვევაში მისთვის უკეთ მოსამზადებლად ათენში ოლიმპიურ კვირეულშიც მოგვიწევს გამოსვლა, რაც ჩვენს წლევანდელ ხარჯებს დამატებით 20 000 ლარით გაზრდის.

როგორც არ უნდა იყოს, ეს ხარჯები ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც ჩვენია, არც ისე დიდია. ამიტომ ისევ და ისევ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, ოლიმპიური კომიტეტის და ოლიმპიური ფონდის იმედზე ვართ.

**— თავად სპორტსმენებიდან ვის იმედზე ხართ, ვისგან უნდა ველოდოთ ლიცენზიებს?**

— კვლავ მწყობრში არიან ჩვენი ვეტერანი მშვილდოსნები ხათუნა ლორიგი (ქვრივიშვილი) და ხათუნა ფუტკარაძე, აგრეთვე ასმათ დიასამიძე და ოლგა ლადიგინა. ამათგან ლორიგი-ქვრივიშვილი, მოგეხსენებათ, ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი, 1990-1992 წლების ევროპის სამგზის ჩემპიონი და მესამე პრიზიორია. მისი მომდევნო წარმატებებიდან აღსანიშნავია 1997-98 წლებში ამერიკის ღია პირველობებზე მოპოვებული ვერცხლის მედლები და 1999-2000 წლებში ატლანტის ღია პირველობებზე გამარჯვებები.

ხათუნა ლორიგი-ქვრივიშვილი ამერიკაში გათხოვების მერე იქვე ვარჯიშობს ინდივიდუალურად, თუმცა ჯერ კიდევ საქართველოს მოქალაქეა და ჩვენი სახელით შეეცდება ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებას და მერე ათენში თავისი ოსტატობის დემონსტრირებასაც.

ჩვენი მეორე ხათუნა, ფუტკარაძეც საკმაოდ მაღალი დონის სპორტსმენია და ოლიმპიური თამაშების გამოცდილებაც აქვს. მისი ბოლო ყველაზე დიდი წარმატება 2000 წლის ევროპის დიდი პრიზის გათამაშებაში გამარჯვებაა.

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს ასმათ დიასამიძესაც და არც ოლგა ლადიგინაა ახალბედა.

ამას გარდა, ვმუშაობთ უკრაინაში დროებით მცხოვრებ ახალგაზრდა, პერსპექტიული მშვილდოსნის ქრისტინე ესებუას თბილისში ჩამოსაყვანად, რომელიც ჩვენს ნაკრებს გააძლიერებს, და თუ მათ მზადების შესაბამისი პირობები ექნებათ, ოლიმპიურ ლიცენზიებსაც მოიპოვებენ და თავად ამ თამაშებზე გუნდურ პირველობაში წარმატების შანსიც გაეზრდებათ. ჩვენი მშვილდოსნების მთავარი მზრუნველობა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ისინი არიან ერთადერთნი, რომლებსაც ოლიმპიურ თამაშებზე გუნდურ პირველობაში გამოსვლა ძალუძთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ამერიკაში გათხოვილი ოლიმპიური პრიზიორი ხათუნა ლორიგი-ქვრივიშვილი მშვილდს საქართველოსთვის საათენოდაც მოზიდავს

თუ კაცმა მთელი წელი იმუშავა და ოფლი ღვარა, მასზე დასვენებაც ალალია. ხოლო თანამედროვე, მით უმეტეს, ამერიკული კალათბურთი მუშაობაა და ეს საკითხი კარგა ხანია, ამოღებულია საკამათო თემებიდან. ამერიკაში კალათბურთელები მუშაობენ მოედანზეც და მის გარეთაც, ბურთითაც და უბურთოდაც, დარბიან, ეჯახებიან, იბრძვიან ყოველი დუიმისთვის და მით უფრო ბურთისთვის.

გაუმართავ და დაუსაქმებელ ქვეყანაში დაბადებული ადამიანების დაღლილ ცნობიერებაში გაელვებულ ოცნებებში ამერიკა ამქვეყნიურ სამოთხედ დალანდული ადგილია, მაგრამ ვარდისფერი ნისლის გაფანტვის შემდეგ „მხოლოდ" კარგად გამართულ „ქარხანად" იქცევა. ამ ქარხანაში შეიძლება იპოვო სამუშაო ადგილი და ჩაჯდე სისტემაში, რომელსაც საფუძვლად შრომის კულტურა უდევს. ბევრს იმუშავებ და ცოტას დაისვენებ — აი იქაური ცხოვრების მთავარი წესი.

დასვენებაში უეჭველად შედის კალათბურთის ყურებაც, მაგრამ საკითხავი ისაა, ვისთვისაა დასვენება და ვისთვის — მუშაობა. დასვენება ნაღდად არაა თავად კალათბურთელებისთვის, ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც ამერიკაში ეს სახეობა მილიონების შოვნის საშუალება გახდა.

„დღეს მაღალი მოთამაშეებიც ისე დავრბივართ, როგორც გამთამაშებლები — გვეუბნება ნბა-ში მოთამაშე (მომუშავე) ქართველი გოლიათი, 216-სანტიმეტრიანი ვლადიმერ სტეფანია –- გაჩერება გამოთიშვას ნიშნავს. უნდა ირბინო გაუჩერებლად და ეცადო, გაიხსნა, ვილაცამ რომ შეგამჩნიოს და პასი მოგცეს. ერთი თამაში გვქონდა, არ მახსოვს, რომელ გუნდთან, სულ დავრბოდი და ბოლოს სამქულიან ხაზთან მივიღე ბურთი. ფარის მოთამაშეს იქ რა უნდა მექნა? ასეთი რამ განუწყვეტლივ ხდება. ზოგჯერ სურვილი მიჩნდება, ბურთს ფეხი ამოვცხო და ხალხში მოვისროლო."

# სტეფანია ნიუ იორკში გარბის, არადა, დალასში ურჩევნია

## ვოვას ივლისში ბაზარი მოუწევს

ვოვა სტეფანიამ გამოიმუშავა დასვენების უფლება. გაიარა ნახევარწლიანი სეზონი, რომლის მსვლელობაში რომ ქვლებოდე, გადამეტი სამი დღე ვერ დაისვენებ კალათბურთისგან. სტეფანიას გუნდმა „მაიამი ჰიტმა", კარგა ხანია, დაასრულა სეზონი. რეგულარული ჩემპიონატი შუა აპრილში დამთავრდა, ხოლო რაკი „მაიამი" ვერ გავიდა პლეი ოფში, მისი მოთამაშეები მომავალი სეზონის დაწყებამდე თავისუფლები არიან. ვითომ ასეა?

პლეი ოფში ვერც მეორე ნბა-ელი ქართველის, ნიკა ცქიტიშვილის გუნდი გავიდა, მაგრამ მომავალი სეზონის მოლოდინში არც ცქიტიშვილს შეუძლია ფეხი ფეხზე და არც სტეფანიას. სტეფანია ხუთი წელია, ამერიკაშია, მაგრამ მისთვის დღესაც ისევე აქტუალურია ნბა-ში თავის დამკვიდრების პრობლემა, როგორც იყო, სამი და ხუთი წლის წინ. სტეფანიამ თავისი ამერიკული და არცთუ მოკლე კარიერა მოკლე-მოკლე კონტრაქტებით გაიარა და დღეს ის თავისუფალი აგენტია. ბევრმა შეიძლება გაიკითხოს მისი აგენტის სურვილი რომელ გუნდში გააგრძელებს კარიერას? ვინ ყოფილა თანაგუნდელი? როგორი მწვრთნელი შეხვდება? როგორი კონტრაქტი ექნება? ვოვა სტეფანიასთვის მომავალი მენეჯერთან გაუმ... დაუზუსტებელია, ასე რომ, თუმცა დასრულდა სეზონი ზურგსუკან, მისთვის მუშაობა არ დამთავრებულა. ამიტომაც ჩვენს პირველ კითხვაზე — სეზონის დამთავრების შემდეგ როგორ ისვენებთ, ვოვა სტეფანიამ მოგვიგო:

— სადაც თავისუფალი დრო დამლით „მაიამის" საჯარჯიშო დარბაზში დავდივარ. ტრენაჟორები, სირბილი, სრიალება... რა ვიცი, ვვარჯიშობ. სადამოობით ძირითადად შინ ვარ, იშვიათად თუ გავდივარ სადმე.

**— რა გეგმები გაქვს?**

— დღეს თუ საერთოდ?

— საერთოდ.

ახლა ვერ გეტყვი, მერე რას ვიზამ. 1 ივლისს „მაიამისთან" კონტრაქტი მიმთავრდება და თავისუფალი აგენტი ვხდები. ვნახოთ, რა როგორ იქნება.

**— რომელიმე გუნდი ხომ არ შეგხმიანებია. კარგი სეზონი გქონდა და შენით არაერთი კლუბი იქნება დაინტერესებული.**

— არა, ჯერ არავინ. ჯერ ვაჭრობის სეზონი არაა, ყველა დრაფტს ელოდება. გაურკვეველია, რომელ კლუბს როგორი მოთამაშე შეხვდება. მერე თავისუფალი აგენტის ბაზარი თანდათანობით გაიხსნება და კლუბები პირველ რიგში ძლიერ მოთამაშეებთან დაიწყებენ საქმეს. ნბა-ში ახლა ბევრი მაღალი მოთამაშე ტრიალებს. არავინ იცის, ეს ხალხი როგორ გადანაწილდება. ყველა გუნდს აქვს რამდენიმე ვარიანტი საჭირო პოზიციაზე. მე რომელი გუნდის რომელი ვარიანტი ვარ, ეს ნაღდად არ ვიცი.

**— ისე, თავად სად გირჩევნია?**

— მთავარია, ისეთ გუნდში მოვხვდე, სადაც საშუალება მომეცემა, ჩემი თამაში ვითამაშო. „მაიამიში" არ მომეცა ეს შანსი. თანაც მე აქ თითო-თითო წლით ვიყავი, ესე იგი, წამსვლელად ვითვლებოდი და ნაკლებ ყურადღებას მაქცევდნენ. სხვა საქმეა, როცა კლუბს მოთამაშე ხანგრძლივი წლით ჰყავს, ესე იგი, ეს მოთამაშე მყარ გეგმაში ჰყავს და მოედანზე უცხო კაცად არ ჩათვლის. ჩემთვის კარგი იქნებოდა გრძელვადიანი კონტრაქტი, თან ისეთ გუნდში, რომელიც ცენტრზე აგებს თამაშს. ასეთ გუნდში მე თავისუფლად გავაკეთებდი თამაშში 15-20 ქულას და 10-12 მოხსნას. მაგალითად, ვფიქრობ, კარგად წამივიდოდა თამაში „დალასში".

**— „დალასი" ხომ არ შემოგხმიანებია?**

— არა. „დალასი" საჩემპიონო გუნდია, ფულიც აქვს და პირველ რიგში საუკეთესო ცენტრის აყვანას ისურვებს. წლეულს ცენტრებიდან თავისუფალი აგენტები ხდებიან ოლოუოკანდი, ნესტეროვიჩი...

**— ჰო, ნოვიცკის კარგი მეწყვილე სჭირდება ფარქვეშ. შენ და ნოვიცკი ერთი დრაფტიდან მიხვედით ნბა-ში. ნოვიცკის გაუმართლა, სულ „დალასშია" და გუნდის ლიდერიცაა...**

— ნოვიცკი კარგად ზის გუნდის სქემაში. ისე, ჩვენი დრაფტი ერთ-ერთი უარესი იყო. მაშინ ბევრი ვარსკვლავი არ მისულა ნბა-ში, მაგრამ იცი, პირველ წრეში ვინც აგვირჩიეს, ამ ხუთ წელში თითქმის ყველანი დავმკვიდრდით, ასე თუ ისე სტაბილურად ვთამაშობთ. კალათბურთელებს დრო სჭირდებათ აქაურობასთან შესაგუებლად. დრაფტის პირველ წრეში არჩევა იმას ნიშნავს, რომ დღეს თუ არა, ხვალ ითამაშებ, გააჩნია როდის და რამდენად სრულად გაიხსნები. მეორე წრიდანაც ათიოდ კაცი ახერხებს დამკვიდრებას.

**— წლევანდელ დრაფტში ზაზა ფაჩულია მოდის. როგორ ფიქრობ, რა შანსები აქვს ზაზას?**

— წინასწარი მონაცემებით, ფაჩულიას ალბათ პირველ წრეში აირჩევენ, ასე მე-20 ან ცოტა დაბალ ნომრად, მაგრამ ის ბევრად მეტს იმსახურებს.

**— თითქოს „მაიამიც" იყო ფაჩულიათი დაინტერესებული. ყოველ შემთხვევაში, „მაიამის" სკაუტები არაერთხელ იყვნენ თურქეთში მის სანახავად.**

— რა ვიცი, აქ ზუსტად არავინ არაფერს იტყვის. არავინ იცის, დრაფტში როგორ წავა საქმე. ისე, პატ რაილის ევროპელები არ უყვარს, ძალისმიერი მოთამაშეები ურჩევნია, თან მისი მიზანია, გუნდში უკვე ძლიერი კალათბურთელები მიიყვანოს, ასე რომ, შეიძლება ნბა-ს გამოცდილ მოთამაშეშიც გაცვალოს დრაფტის კუთვნილი მეხუთე არჩევანი. რაილი ვერ დაუწყებს ახალგაზრდებს ლოდინს. „მაიამის" ცუდი სეზონი ჰქონდა და ახლა რაილის პირველ რიგში შედეგი სჭირდება და არა მომავლის მოლოდინი.

ჩემს დროს დრაფტი სულ სხვა რამე იყო. იქ გუნდები უკვე ძლიერ კალათბურთელებს ირჩევდნენ, ამიტომაც ახალგაზრდები ცდილობდნენ, კარგად ეთამაშათ უნივერსიტეტებში, ევროპაში... ახლანდელ სისტემაში კი მოთამაშე კი არა, მისი მონაცემები ფასობს. აი, ავიღოთ თუნდაც კვეიმ ბრაუნი, რომელიც 2001 წლის დრაფტში „ვაშინგტონმა" პირველ ნომრად აიყვანა. აბა დაფიქრდი, 19 წლის ბიჭმა სამწლიანი და 9-მილიონიანი კონტრაქტი ჩაიდო ჯიბეში, უნდა ახლა მაგას თამაში? კი, რაღაცას ეცდება, მაგრამ...

**— ახლა ძალიან დიდი აჟიოტაჟია ატეხილი 18 წლის ლებრონ ჯეიმსზე. მართლა პატარა გენიოსია თუ რაშია საქმე?**

— რა გითხრა, ესეთები ადრე ბევრნი იყვნენ, რომელთაც კარგი მონაცემები ჰქონდათ. ჩემს დროს იყო ერთი მილიჩი, ამათ ყველას 15-ჯერ სჯობდა, მანქანას ახტებოდა. კერონ ბატლერი ავიღოთ, ჩემი თანაგუნდელი, ყველა მის სახელს გაიძახის. გუშინ ჩვენი გუნდის ლიდერმა ედი ჯონსმა მითხრა, ჩემ დროს ეგ პირველ წრეში ვერ მოხვდებოდაო. თავად ჯონსი კი თავის დრაფტში, 1994 წელს მხოლოდ მე-10 იყო.

**— თვლი, რომ ნიკა ცქიტიშვილს გაუმართლა?**

— ცქიტიშვილი კარგ ტალღაზე მოხვდა. გუნდიც ისეთი შეხვდა, სადაც თავისი თამაშის პოვნის საშუალება აქვს.

**— ცქიტიშვილი აქტიურად მონაწილეობს არასაკალათბურთო ღონისძიებებში და რეკლამებში. „მაიამისთან" შენი კონტრაქტიც ხომ არ ითვალისწინებს მსგავს საქმიანობას?**

— კონტრაქტი არა, მაგრამ ცნობილი ხალხი აქ საზოგადოებრივად აქტიურ ცხოვრებას ეწევა და მეც ხანდახან „გავერევი ხალხში". ამას წინათ მაიამელ ბავშვებს ცურვის გაკვეთილები ჩავუტარე. კალათბურთამდე ხომ მოცურავე ვიყავი. ნიუ იორკიდან რომ ჩამოვალ, იქნებ კიდევ მოვაწყო ასეთი რამ.

**— ნიუ იორკში რა ხდება?**

— როგორ, რა ხდება, ფინალია „ნიუ ჯერსი" — „სან ანტონიო". ნახევარ საათში გავდივარ.

**— შენი საფინალო პროგნოზი როგორია?**

— „სან ანტონიო" ბევრად ძლიერია და ჩემპიონიც ალბათ ის გახდება, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ მეოთხე თამაში „ნიუ ჯერსისაა". ჯეისონ კიდმა წინა თამაში ჩააგდო და ახლა თავს მოიკლავს. ისე, ჭორები დადის, კიდი მომავალ სეზონში „სან ანტონიოში" გადადისო. ვერ გავიგე, „სან ანტონიოს" რად უნდა კიდი, გადასარევი გამთამაშებელი, ტონი პარკერი ჰყავს...

**— ტიმ დანკანზე რას იტყვი? წლეულს ორჯერ მოგიწია მასთან თამაში.**

— წლეულს ვერა და წინა სეზონში კარგად ვეთამაშე დანკანსაც და დევიდ რობინსონსაც. წლევანდელ შეხვედრებში იმდენად არ წამივიდა თამაში...

**— ვოვა, ერთსაც გკითხავ. ფიბა-მ ევროპის ჩემპიონატის ახლებური შესარჩევი სისტემა შეადგინა, რომელშიც საქართველო B ჯგუფში მოხვდა და მინიმუმ 2007 წლამდე დაემშვიდობა ევროპის ჩემპიონატს...**

— ვიცი, ფედერაციის პრეზიდენტმა ბესო ლიპარტელიანმა დამირეკა. არადა, ახლა ისეთი თაობა გვყავს, თუ ორგანიზება რაღაც დონეზე იქნება, ბევრ ძლიერ საკალათბურთო ქვეყანას თანაბრად ვეთამაშებით. ძლიერებს, ყოველ შემთხვევაში, უმაღლესი კლასის მოთამაშეებით მაინც შევეჯიბრებით. თუ საშუალება მექნება, მეც სიამოვნებით ჩამოვალ და ვითამაშებ ნაკრებში. მთავარია, ელემენტარული პირობები მაინც იყოს.

**ირაკლი ფირუმვილი**






## საფრანგეთი

Elan Béarnais
Pau-Orthez

*ქართველ ლეგიონერთაგან წლეულს ფრანგულ „პო ორტეზში" მოთამაშე გიორგი მდივანიც ემზადება ჩემპიონობისთვის. თუმცა, იგი უკვე საფრანგეთის ორგზის ჩემპიონია, ოღონდ დუბლიორებს შორის. თუ მდივანს დიდი წვლილი მიუძღვის „პო ორტეზის" მეორე გუნდის წარმატებაში, პოელთა ძირითადი შემადგენლობა მის დაუხმარებლად მიიწევს ჩემპიონობისკენ. გიორგი, იგივე „ლოქო", „პო ორტეზის" განაცხადში კი ხვდება, მაგრამ პლეი ოფის დაძაბულ მატჩებში მოედანზე გასვლა თითქმის არ უწევს. საცაა, საფრანგეთში სეზონი დასრულდება და „ლოქოს" მისი სამომავლო გეგმების გასაგებად გუშინ პოში დავუკავშირდით...*

# პო და პო

## უცხოეთში კონტრაქტს ტყუილად არავის უფორმებენ. გიორგი მდივანმა, ეტყობა, ფრანგები დააჯერა



გიორგი მდივანს „პო ორტეზმა" ნაღდი კონტრაქტი შესთავაზა

— **რა ეტაპზე ხართ საფრანგეთის ჩემპიონატში?**

— ნახევარფინალური სერია გუშინ დავიწყეთ დიუნკერკის „გრაველინთან". პირველი შეხვედრა იოლად მოვიგეთ, ერთი გამარჯვებაც და ფინალში გავალთ.

— **„პო ორტეზს" წლეულს ალბათ მხოლოდ ჩემპიონობა დააკმაყოფილებს, ის ხომ ყველაზე ტიტულიანი გუნდია საფრანგეთში...**

— მხოლოდ ჩემპიონობა — ესაა „პო ორტეზის" ერთადერთი დევიზი. გუნდის ხელმძღვანელობას ჯერაც ვერ მოუნელებია, რომ შარშან ვილერბანელებს დავუთმეთ ჩემპიონობა. ამ სეზონში თასი უკვე მოვიგეთ, „გრაველინსაც" ალბათ იოლად გავცდებით და გადამწყვეტი მატჩების ჯერიც დადგება.

— **ალბათ ისევ „ვილერბანი" შეგეცილებათ ჩემპიონობას...**

— მეც ესე ვფიქრობ. ვილერბანელებიც 1:0 იგებენ ნახევარფინალურ სერიას და ფინალში ალბათ ისინიც იოლად გავლენ.

— **რეგულარულ ჩემპიონატში რამდენჯერმე გამოჩნდი მოედანზე, პლეი ოფში კი თითქმის არ გიწევს თამაში. დუბლებში ხომ არ დაგაბრუნეს?**

— „პო ორტეზის" დუბლებში მაინც ვარ ხოლმე, გინდაც ძირითად გუნდში მომიწიოს თამაში. დუბლიორების ერთ-ერთი ლიდერი ვარ და იმ დღეს საფრანგეთის ჩემპიონებიც გავხდით. თითქმის ყველა მატჩში მივიღე მონაწილეობა.

ძირითად გუნდში კი აღარ მათამაშებენ. ისე, 12-კაცა განაცხადში ყოველთვის ვარ, ეგაა, სათადარიგო სკამიდან არ მაყენებენ.

— **რატომ აღარ გენდობიან, რამე მიზეზი ხომ არ მიგიცია?**

— არავითარი მიზეზი, უბრალოდ, პრინციპული მატჩებია და იმიტომ. რეგულარულ ჩემპიონატში მწვრთნელს თამამად შეეძლო, ვეთამაშებინე. პირველი ადგილი მყარად გვეკავა, თანაც სუსტ გუნდებს რა გამოლევდა. ჰოდა, რამდენჯერმე მომცეს თავის გამოჩენის შანსი და, მგონი, იმედი არ გამიცრუებია. კი მეუბნებოდნენ, პლეი ოფშიც გათამაშებთო, მაგრამ ჯერ მხოლოდ ერთ საპლეიოფო შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. მწვრთნელებისაც გასაგებია, რისკს ერიდებიან.

— **შენი მონაწილეობით რომელი მატჩი დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად?**

— პირველი, „შოლესთან" რომ მათამაშეს. იმ მატჩში 4 ქულა, 4 მოხსნა და კიდევ რამდენიმე ჩაჭრა-პასი გავახერხე. ეს ყველაზე უკეესი შედეგია „პო ორტეზის" ძირითად გუნდში. მერე ორ-ორ ქულიანი და საერთოდ უქულო მატჩებიც მქონდა.

— **სეზონი მალე დამთავრდება, კვლავ „პო ორტეზში" დარჩები?**

— ალბათ იცით, რომ აქ ჩამოსვლისას არასრულწლოვანი ვიყავი და ჯერაც არ შემსრულებია 18 წელი. ასე რომ, პროფესიული კონტრაქტი არ მაქვს გაფორმებული, ასე ვთქვათ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ამიყვანეს „პო ორტეზის" დუბლებში. ახლა კი სრულფასოვან, პროფესიულ კონტრაქტს მთავაზობენ აქაურები. იმ დღეს მითხრეს, სამწლიანი გავაფორმოთო.

— **რა განსხვავება იქნება ძველ და მაგ ახალ კონტრაქტს შორის?**

— ყველანაირი. პირობები უკეთესი, ხელფასი მეტი, თანაც მხოლოდ ძირითად გუნდთან მექნება საქმე და დუბლებში აღარ ვითამაშებ.

— **შენი პასუხი როგორია?**

— რა თქმა უნდა, დავთანხმდი და ახალ კონტრაქტს ალბათ სეზონის დასრულებამდე გავაფორმებ. სხვა ვარიანტებიც არის, თანაც ბლომად, მაგრამ საფრანგეთის ყველა დროის საუკეთესო გუნდი მთავაზობს კონტრაქტს და უარი როგორ ვთქვა. „პო ორტეზში" არაფერი მაკლია და არსად წასვლას არ ვაპირებ.

— **ალბათ მიეჩვიე კიდეც პოს და პოელებს...**

— ძალიან წყნარი და კოხტა ქალაქია. სიმშვიდე თუ უნდა კაცს, აქ უნდა იცხოვროს. პო ძალიან შემიყვარდა, ხალხიც კეთილი და ხალისიანია. ფრანგულად უკვე გამართულად ვლაპარაკობ, არავითარი პრობლემა აღარ არსებობს.

— **საქართველოში როდის ჩამოხვალ?**

— სეზონი დასრულდება და თბილისისკენ გამოვწევ. ოჯახი და მეგობრები ძალიან მომენატრა, ვეცდები, ფრანგული ოქრო ჩამოვიტანო და ყველა გავახარო.

— **გაიგებდი, რომ ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი დაუნიშნეს. ალბათ შენც მიგიწვევს გამოსაცდელად...**

— დრაჟენ ბრაიკოვიჩის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ იმედი მაქვს, კარგი სპეციალისტი იქნება. მე ბოლოს კადეტთა ნაკრებში ვთამაშობდი და თუ ბრაიკოვიჩი ეროვნულში დამიძახებს, ჩემთვის დიდი პატივი იქნება.

**ირაკლი პერტაია**

## თურქეთი

# ფაჩულიას ჩემპიონობა კალათიდან ამოუხტა



**ზაზა ფაჩულიას** და მის „ულქერს" ძალა არ ეყოთ, საგმირო საქმე ბოლომდე მიეყვანათ. თურქეთის ჩემპიონატის სუპერფინალში „მეკანფეტეები" თანაქალაქელ „ეფესს" ხვდებოდნენ და წასაგებად განწირული სერია 1:3 ჩამორჩენის შემდეგ შემოატრიალეს. მიყრით ორმა გამარჯვებამ „ულქერს" კარგი შანსი მისცა — ფაჩულიას გუნდი მატჩს შინაურ „აჰმედ კომერტში" თამაშობდა.

ულქერელებს მოგებისა კი სჯეროდათ, მაგრამ ცრურწმენა ღრღნიდათ. სამმატჩიოდ თურქეთის კალათბურთის ფედერაციამ ის მსაჯები დანიშნა, რომლებიც „მეკანფეტეებს" ცუდად ჰქონდათ დაცდილი. „ულქერს" პრეზიდენტმა ლუტფი არიბოგანმა ბევრი იფორიაქა, მაგრამ ფედერალებს პირვანდელი გადაწყვეტილება, ანუ მსაჯები ვერ შეაცვლევინა. ჰოდა, ყველაფერი ისე დამთავრდა, რისიც „ულქერსა" და მის გულშემატკივრებს ეშინოდათ. „ეფესმა" გაიმარჯვა და ჩემპიონობა შეინარჩუნა.

ულქერელებმა მხოლოდ პირველი მეოთხედის მოგება შეძლეს, მერე კი ჩამორჩნენ და ეფესელებს მესამე მეოთხედში ოთხი ქულით თუ მოუახლოვდნენ — 47:51. ზაზა ფაჩულიამ 11 წუთი ითამაშა, სამივე ორქულიანი ააცილა და 4-დან მხოლოდ 2 ჯარიმა ჩააგდო. ზაზამ თავი მხოლოდ 5 მოხსნით გამოიჩინა, მაგრამ ამით ვერაფერი არგო „ულქერს", რომელიც საბოლოოდ 70:80 დამარცხდა.

## ჭადრაკი

# ყაჭეიშვილმა 2002 წლის ევროპა დაამარცხა

**ევროპის** ვაჟთა ჩემპიონატზე ჩავლილ მეათე ტურს ქართველებისთვის წარუმატებელი არ ეთქმის. ზურაბ აზმაიფარაშვილის სწრაფი ყაიმის ამბავი გუშინდელ ნომერში გამცნეთ, ახლა კი დანარჩენ მონაწილეებზე მოგითხრობთ.

მეათე ტურში გიორგი ყაჭეიშვილმა ევროპის გასული წლის ჩემპიონი, პოლონელი ბართლომეო მაჩეია დაამარცხა და ცხრილში 23-ე ადგილზე ასკუპდა. შეგახსენებთ, რომ გიორგის ჩემპიონატზე პირველი ორი მოგებული პარტიის შემდეგ ცოტა ჩავარდნები ჰქონდა და რამდენიმე დასანანი ქულაც დაკარგა, თუმც ბოლო ტურებში მდგომარეობა თანდათან გამოასწორა და ლიდერ ზურაბ აზმაიფარაშვილს ქულითღა ჩამორჩება.

ასევე მოიგო თავისი პარტია ახლახან დუბაის ტურნირის გამარჯვებულმა ბაადურ ჯობავამ. მან შავი ფიგურებით რუსი ზაკაი ზაკაევი დაამარცხა.

ყაიმით დაასრულეს შეხვედრები მიხეილ მჭედლიშვილმა, ზურაბ სტურუამ და ზვიად იზორიამ, ხოლო ახალგაზრდა ქართველმა დიდოსტატმა მერაბ გაგუნაშვილმა გამოცდილ უკრაინელ ალექსანდრ მოისეენკოსთან წააგო.

გუშინ მეთერთმეტე ტურის შეხვედრები შედგა და ლიდერთა დაფაზე ერთმანეთს ზურაბ აზმაიფარაშვილი და ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი რუსი დიდოსტატი ალექსანდრ გრიშჩუკი დაუპირისპირდნენ.

ქართველმა დიდოსტატმა წინა პარტიის მსგავსად ახლაც სწრაფი ყაიმით მეათე სვლაზევე დაასრულა შეხვედრა. ამ ყაიმით კი აზმაიფარაშვილმა 8 ქულა დააგროვა და ჩემპიონატს კვლავაც ერთპიროვნულად ლიდერობს. ზურას ლიდერობის შენარჩუნება უფრო მისი უშუალო კონკურენტების დამსახურებაა, რადგან ყველამ ქართველის მსგავსად ყაიმით დაასრულა თავთავიანთი შეხვედრა.

რაც შეეხებათ ქართველ ქალებს, მერვე ტურში ერთბაშად ხუთმა ჩვენებურმა მანდილოსანმა იმარჯვა — ლელა ჯავახიშვილმა, სოფიკო ტყეშელაშვილმა, სოფიკო გვეტაძემ, ნათია ჯანჯღავამ და მაია ლომინეიშვილმა. ცნობისათვის, ლომინეიშვილმა აღნიშნულ ტურში ასევე ქართველს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონსა და საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მოჭადრაკეს ნონა გაფრინდაშვილს სძლია.

მერვე ტურისაგან განსხვავებით, ლიდერმა ქართველმა ქალებმა წარუმატებლად ჩაატარეს მომდევნო მეცხრე ტური.

ლიდერთა პარტიებში ნინო ხურციძემ და ნანა ძაგნიძემ, თანაც ორივემ თეთრი ფიგურებით დათმეს თავიანთი შეხვედრები. ნინო საფრანგეთის სახელით მოთამაშე, ჩემპიონატის ულამაზეს მონაწილეს ალმირა სკრიპჩენკოს შეხვდა. მათი თამაში თანაბარ ტემპში წარიმართა და ერთ მომენტში ნინო უპირატესობასაც კი დაეუფლა, თუმც შემდეგ დასანანი შეცდომა დაუშვა და 63-ე სვლაზე თამაში შეწყვიტა.

ნანა ძაგნიძე შვეიცარიელ პია კრამლინგს შეხვდა და პარტია მეტად უცნაური დებიუტით მხედარი F3-ით დაიწყო. თამაში საინტერესოდ გაგრძელდა და ორივე მხარემ ფიგურების გაცვლას მიჰყო ხელი, სადაც პაიკით კრამლინგმა იმარჯვა. ამის შემდეგ შვეიცარელმა მოჭადრაკემ დიდი შეტევისთვის ფიგურების მობილიზება დაიწყო და ფართომასშტაბიანი იერიშიც განახორციელა, თავიდან ნინო დიდი თავდადებით კი იგერიებდა მოწინააღმდეგის შეტევებს, თუმცა კრამლინგის უპირატესობა იმდენად დიდი იყო რომ 47-ე სვლაზე ძაგნიძე იძულებული შეიქმნა თამაში შეეწყვიტა.

წააგო ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა ალისა გალიამოვამ, იგი ლიტველ დიდოსტატ ვიქტორია ჩმილიტესთან დამარცხდა. თავიანთი შეხვედრები მოიგეს მეორეადგილოსნებმა რუსმა ტატიანა კოსინცევამ და გერმანიის სახელით მოასპარეზე ქეთევან კახიან-გერშინსკამ. მათ შესაბამისად 7-7 ქულა დააგროვეს და ახლა ცხრილს ალისა გალიამოვასთან და ვიქტორია ჩმილიტესთან ერთად ლიდერობენ.

**ლაშა გეგეჭკორი**





მეცხრე ტურში ნინო ხურციძე (მარჯვნივ) ალმირა სკრიპჩენკომ დაამარცხა

# აგასი: 1000!

**STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS**

ლონდონი. ბალახი

საპრიზო 800 ათასი ევრო

მეორე წრე

**ანდრე აგასი (2, აშშ) — პიტერ ლუშაკი (ავსტრალია) 7:6 (7:5), 6:4; ენდი როდიკი (3, აშშ) — რიკ დევუსტი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:2; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — პარადორნ შრიჩაფანი (4, ტაილანდი) 6:3, 6:3; ტიმ ჰენმანი (7, ბრიტანეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 3:6, 6:3, 7:6 (7:3); ქსავიე მალისი (8, ბელგია) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 6:3, 7:6 (7:3)**

ლეგენდარულ ტურნირ „სტელა არტუა ჩემპიონშიპსს", რომელიც ლონდონის „ქუინს კლაბში" იმართება და მსოფლიოს ზედა მჩოგნეებისთვის წინასაუიმბლდონოდ შეხახურებელ ასპარეზს წარმოადგენს, 25 წელი შეუსრულდა.

საიუბილეოდ ტურნირის მასპინძლებმა თავიანთი და ქომაგთა ყველების ნაკლულოვანება გადაწყვიტეს და საგანგებო საჩუქარი რვაგზის სლემტიტულოსანი ანდრე აგასი, რომელსაც იქ თავისი — არც მეტი, არც ნაკლები — მე-1000 საკარიერო მატჩი უნდა ეთამაშა.

ჰოდა, თქვენ რომ ამ ტექსტის თავში ანგარიშებს ხედავთ, იქ ანდრე აგასისა და ავსტრალიელი პიტერ ლუშაკის ანგარიშიც წერია. და 33 წლის დიდი არმენიამერიკელის მე-1000 შეხვედრაც სწორედ ეგ გახლავთ...

ანდრემ ამ დღეს ძალ-ღონე არ დაიშურა, რათა შაბაშ საიუბილეო ამბავი გამარჯვებით დაესრულებინა.

ახლა ის უკვე 766 მატჩის მომგები და ამასთან შედარებით ძალზედ ცოტაჯერ — მხოლოდ 234-გზის ძლეულა. მისი ბალახსაფრო მონაგარი კი 13 მარცხის წილ 43 გამარჯვებაა.

თუკი ვინმე აგასის საკარიერო მთავარმეტოქესა და მთავარლესტის პიტ სამპრასის კარიერასთანაც დაინტერესდება, მისი ანგარიშგვერდი ხილვის დასაკვებლად აქვს დაწერილი: 14-გზის სლემტიტულოსანი კალიფორნიელის თავისი საჩემპიონო კარიერის 222-ჯერ წაუგია და 762-ჯერ უმარჯვია, ანუ მის ანგარიშზე ჯერ მხოლოდ 984 შეხვედრაა.

რას ამბობდა თავისი მეათასე მატჩის შემდეგ ჯადო ანდრესიკა?

„როცა თამაში დავიწყე, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუკი ხემს რომელიმე მეათასე შეხვედრა საბოლოოდ ოჯინებოდა — ანგლობდა ის — მაგრამ, რაც ვიხსი, ას თქვა, მაინც არაჩვეულებრივი რამეა, როცა ყველაფერს ამას აქეთ გადახედავ... ისე კი, მე არასოდეს ყოფილვარ რიცხვებიან გაცი, ყოველთვის უკეთ ხარისხის კაცი ვიყავი. 33 წლისა ჯერაც მსოფლიოს პირველობისთვის ღაკობდე — ეს საუცხოო, გამორჩეული მიღწევაა. მე მეამაყება, ჯერაც ამის უნარი რომ მაქვს... მაგრამ საქმე ისე არ არის, თითქოს მხოლოდ რეკორდების მუღამი მქონდეს, არა — მინდა, კორტზე ვიყო, ოღონდ ისე, რომ საქმესაც მაღალ დონეზე ვაკეთებდე."

„როცა ასაკი გემატება, იმასაც უკეთ მაგრად აფასებ, თუ რა ცოტა შანსი გაქვს დარჩენილი... მე ჯერ აქა ვარ, მაგრამ რაწამს დავინახავ, რომ ბილიკი უკვე საბედისწეროდ დავიწროვდა, თავს დავხრი და წავალ ისე, როგორც ჩემამდე სხვებიც წასულან."

ბილიკი კი უკვე ნელ-ნელა ვიწროვდება...

მხოლოდ იმას შეგახსენებთ, სტელა არტუაზე აგასის აქამდე მხოლოდ ერთხელ, 2000 წელს ეთამაშა და მაშინაც მესამე წრეში, ტრავმის გამო დათმო.

რაც შეეხება დანარჩენ შეხვედრებს, აქ ყველაზე მოულოდნელი კვლავ ტაილანდელ შრიჩაფანის მარცხი გამოდგა. იმედი იყო, რომ საშინლად ჩავლაკებული თიხნარსეზონის შემდეგ პატალო აზიელი ბალახზე მაინც მოყოხდებოდა, მაგრამ ათლავაშა და გლაჯუნა ანჩიჩის წინააღმდეგ პარადორნმა იმ დღეს ვერაფერი გააწყო.




დაიბადა 1970 წლის 29 აპრილს ლას ვეგასში, ნევადა
33 წლის; სიმაღლე 1,80 მ; წონა 78 კგ
პროფესიონალია 1986 წლიდან



დრო იყო, ანდრე აგასი ფაფარივით თმით და ბრუკ შილდსით იწონებდა თავს



# დიდი გზა იქცა ბილიკად, ბილიკიც აღარ ჩანს...

**1987** — მოიგო პირველი ტურნირი იტაპარიკაზე.

**1988** — შვიდ ფინალში ითამაშა და ექვსი ტიტული მოიგო. გავიდა აშშ-ისა და საფრანგეთის ღია პირველობათა ნახევარფინალებში.

**1989** — მოიგო ორლანდოს ტურნირი.

**1990** — როლან გაროსზე პირველად გავიდა რაგინდარა სლემფინალში, მაგრამ იქ ანდრეს გომესთან დათმო; პიტ სამპრასთან წააგო აშშ-ის ღია პირველობის ფინალში; იმარჯვა ოთხ ტურნირზე, მათ შორის ეიტიპი ტურის პირველ მსოფლიოს ჩემპიონატზეც, რომლის ფინალშიც სტეფან ედბერგს აჯობა; აშშ-ის დევისნაკრებს ავსტრალიასთან გამარჯვებაში დაეხმარა.

**1991** — ზედიზედ მეორედ მიაღწია როლანგაროსობის ფინალში, სადაც ამჯერად ჯიმ კურიესგან იძლია. მოიგო ორლანდოური და ვაშინგტონური ტურნირები.

**1992** — უიმბლდონზე თავისი პირველი სლემტიტული მოიგო; ხუთსეტიან საფინალო განდაგანაში იქ გორან ივანიშევიჩს მოერია. ტიტულები მოიხვეჭა ატლანტასა და ტორონტოში; აშშ-ის დევისნაკრებს თასის მოპოვებაში შეეწია.

**1993** — ორი ტიტული მოირეწა და დეკემბერში მარჯვენა მაჯის ოპერაცია გადაიტანა.

**1994** — ტრავმამოკეთებულმა 5 ტიტულის მოპოვება შეძლო, ამათ შორის აშშ-ის ღია პირველობისაც. ფრედ სტოლის (1966) შემდეგ გახდა პირველი განუთესავი მეჩოგნე, ვინაც ფლეშინგ მედოუზზე იმარჯვა. სეზონი ზე-30-ის მიღმა დაიწყო და მეორე ადგილზე გაასრულა — ასეთი რამ კი მანამდე არავის გაუკეთებია.

**1995** — ერთბაშად შვიდი ტიტული მოაქუჩა, რაიც არც მანამდე მოუხერხებია და არც მერე. ამ შვიდიან ერთი ავსტრალიის ღია პირველობის მთავარჯილდოც იყო. იმ წლის აპრილში 12-თვიანი რეიტინგსიის სათავეში მოექცა, რითაც გახდა მე-12 მეჩოგნე, ღია პირველობათა ერაში ამ საფეხურზე რომ მდგარა.

**1996** — ტიტულზარდახშა სამი ტიტულით შეავსო. ოქროს მედალი მოიმკა ატლანტის ოლიმპიადაზე. პირველი მეჩოგნე გახდა, მაიამური მასტერსტურნირზე სამჯერ რომ გაილაღა.

**1997** — აპრილში მსახიობ ბრუკ შილდსს შეეუღლა. ფორმა დაკარგა და რეიტინგსიაში 141-ე ადგილამდე დაეშვა. მშობლიურ, ლასვეგასურ ჩელენჯერში სამონაწილეოდ საშვი მიიღო, მაგრამ ფინალში დამარცხდა. ასევე საშვით მოხვდა ბურბანკის ჩელენჯერშიც, რომლის ფინალშიც სარგის სარგსიანს მოუგო.

**1998** — რეიტინგსიის 122-ე ადგილიდან ზეათეულამდე აღზევდა, რაც 1973 წლის შემდეგ აღარ მომხდარა. ათ ფინალში ითამაშა და ხუთი ტიტული მიითვალა. უიმბლდონის პირველ წრეში ალექს კალატრავას ძლევით მე-500 საკარიერო გამარჯვება მოიმკა.

**1999** — სეზონი პირველად გაასრულა რეიტინგსიის უმაღლეს საფეხურზე. მოიგო ხუთი ტიტული, ამათ შორის საფრანგეთისა და აშშ-ის ღია პირველობებზეც. დონ ბაჯის, როდ ლეივერის, ფრედ პერისა და როი ემერსონის შემდეგ გახდა მეხუთე კაცმეჩოგნე, ვინაც ოთხივე სლემტურნირზე იმარჯვა. უიმბლდონის ფინალში პიტ სამპრასთან წააგო. სეზონში 4 269 265 დოლარი მოაგროვა, რაც მისთვის პირადსარეკორდო სასეზონო თანხა გამოდგა. ამ წელსვე გასცილდა ბრუკ შილდს.

**2000** — ავსტრალიის ღია პირველობაზე კარიერის მეექვსე სლემტიტული მოიხვეჭა და როდ ლეივერის შემდეგ (1969) პირველმა შეძლო, ზედიზედ ოთხ სლემფინალში გასულიყო.

**2001** — 31 წლისამ სეზონი მთავარსამეულში გაასრულა. მასზე ასაკოვანი, ვინაც იმავის გაკეთება 1984 წელს მოახერხა, 32 წლის ჯიმი კონორსი იყო. წარმატებით დაიცვა ავსტრალიის ღია პირველობის ტიტული. ზედაც სამი ტიტული მიათვალა. იქორწინა შტეფი გრაფთან, ვინაც ოქტომბერში ვაჟი, ჯეიდენ ჯილი შესძინა.

**2002** — ტრავმამ არ მისცა საშუალება, მელბურნული სლემტიტული დაეცვა, როლანგაროსის მეოთხედფინალში კი ხუან კარლოს ფერერომ დაამარცხა. უიმბლდონის მეორე წრეში პარადორნ შრიჩაფანმა დაჩოგნა. სამაგიეროდ — იმარჯვა მაიამურ და რომაულ მასტერსტურნირებზე, რასაც სკოტსდეილური და ლოსანჯელესური ტიტულებიც დაურთო. აშშ-ის ღია პირველობის ფინალში პიტ სამპრასთან წააგო.

**2003** — პირველი არაავსტრალიელი შეიქნა, ვინაც იქაური სლემტურნირი მეოთხედ მოიგო. ფინალში მან რაინერ შიუტლერი დაიმორჩილა. მას შემდეგ იმარჯვა ჰიუსტონის, სან ხოსეს ტურნირებსა და მაიამის მასტერსტურნირზეც იპირველა. 10 ივნისს ითამაშა კარიერის მე-1000 მატჩი, რომლის შესახებაც — თქვენ შემოგევლეთ და — აგერ, ამ გვერდზევე გვიწერია.

**ლევან ძელაურაძე**



აგასის ოჯახობა: შტეფი გრაფი და პატარა ჯეიდენი

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი


ინგლისი — სლოვაკეთი. ვლადიმირ იანოჩკოს გოლი დევიდ ჯეიმსის კარში

### II ჯგუფი

ნორვეგია 1:1 რუმინეთი

ლუქსემბურგი 0:2 დანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 6 | 4 | 1 | 1 | 12:6 | 13 |
| ნორვეგია | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| რუმინეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 15:7 | 10 |
| ბოსნია | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | 6 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:15 | 0 |

### III ჯგუფი

ჩეხეთი 5:0 მოლდოვა

ავსტრია 5:0 ბელარუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:1 | 13 |
| ჰოლანდია | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 13 |
| ავსტრია | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| მოლდოვა | 6 | 1 | 0 | 5 | 3:13 | 3 |
| ბელარუსი | 6 | 1 | 0 | 5 | 2:15 | 3 |

### IV ჯგუფი

სან მარინო 0:5 უნგრეთი

შვედეთი 3:0 პოლონეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:2 | 11 |
| უნგრეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:4 | 11 |
| ლატვია | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 7 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 0:25 | 0 |

### V ჯგუფი

ლიტვა 0:3 ისლანდია

ფარერები 0:2 გერმანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| ისლანდია | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| შოტლანდია | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| ლიტვა | 6 | 2 | 1 | 3 | 4:9 | 7 |
| ფარერები | 5 | 0 | 1 | 4 | 4:10 | 1 |

### VI ჯგუფი

საბერძნეთი 1:0 უკრაინა

ჩრდ. ირლანდია 0:0 ესპანეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 6:4 | 12 |
| ესპანეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:3 | 11 |
| უკრაინა | 6 | 2 | 3 | 1 | 10:8 | 9 |
| სომხეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 0 | 2 | 3 | 0:6 | 2 |

### VII ჯგუფი

თურქეთი 3:2 მაკედონია

ინგლისი 2:1 სლოვაკეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | 15 |
| ინგლისი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 |
| სლოვაკეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 8:8 | 6 |
| მაკედონია | 6 | 1 | 2 | 3 | 9:11 | 5 |
| ლიხტენშტაინი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:15 | 1 |

### VIII ჯგუფი

ესტონეთი 0:1 ხორვატია

ბელგია 3:0 ანდორა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| ხორვატია | 5 | 3 | 1 | 1 | 7:2 | 10 |
| ბელგია | 6 | 3 | 1 | 2 | 7:8 | 10 |
| ესტონეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:2 | 8 |
| ანდორა | 6 | 0 | 0 | 6 | 1:12 | 0 |

### IX ჯგუფი

აზერბაიჯანი 2:1 სერბეთი

ფინეთი 0:2 იტალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 12 |
| იტალია | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| ფინეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:8 | 6 |
| სერბეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| აზერბაიჯანი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:14 | 4 |


დეიან სავიჩევიჩი

## სადოლ!

ეს ჰალსტუხიანი უიმედო გამოხედვით დეიან სავიჩევიჩი გახლავთ და რამდენადაც კარგი ფეხბურთელი იყო, იმდენად უხეირო მწვრთნელია. გადადგებოდა, აბა, რა იქნებოდა?! ვინ შეარჩენდა, არნახული სირცხვილი რომ აჭამა თავის ქვეყანას აუტსაიდერ აზერბაიჯანთან. ბევრისთვის შოკისმომგვრელია, მაგრამ ფაქტია: ყოფილი იუგოსლავია ბაქოში დამარცხდა. შოკი გერმანელებისაც გენახათ, 88 წუთი ვერაფერი რომ ვერ მოუხერხეს ფარერებს და ბოლოსღა შეძლეს ნამუსის მოწმენდა.

კვლავაც ჩაფლავდა ესპანეთი. ბელფასტში ბაქიბუქით ჩასულ ინაკი საესის გუნდმა ჩრდილოირლანდიელებთან ვერაფერი გააწყო და უკრაინის დამმარცხებელ საბერძნეთს გადააბარა პირველობა.

მატჩის დღეს მონამლულმა და კუჭაშლილმა ისლანდიელებმა ლიტვას გაუქარვეს პორტუგალიური ილუზიები. მეშვიდე ჯგუფში კი ტაიმბოლებით თურქეთმა და ინგლისმა გვარიანად ანერვიულეს ქომაგები, თუმც ბოლოს ორივე გამარჯვებული დარჩა.

ახოვან ფინელებს უპრობლემოდ გაუსწორდნენ იტალიელები, შვედეთმა კი პოლონეთი ჩამოიცილა გზიდან და ჯგუფის ლიდერობაც ხელთ იგდო.

ჩეხეთის და უნგრეთის 5:0-ები კი ბევრსაც არ გააკვირვებს.


ფარერები — გერმანია. ბოლო-ბოლო, რას გახდებოდნენ ჯანიანი ფარერელები ფრედი ბობიჩის (მარცხნივ) გერმანიასთან

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი
## შესარჩევი ეტაპი

### III ჯგუფი

ჩეხეთი 3:0 მოლდოვა

ავსტრია 0:2 ბელარუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 14:1 | 15 |
| ბელარუსი | 6 | 4 | 0 | 2 | 8:6 | 12 |
| ავსტრია | 6 | 3 | 1 | 2 | 5:6 | 10 |
| ჰოლანდია | 5 | 0 | 2 | 3 | 4:9 | 2 |
| მოლდოვა | 6 | 0 | 1 | 5 | 3:12 | 1 |

### IX ჯგუფი

აზერბაიჯანი 0:2 სერბეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 5 | 0 | 0 | 12:3 | 15 |
| სერბეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:8 | 10 |
| ფინეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:9 | 7 |
| უელსი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| აზერბაიჯანი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:15 | 0 |


ფინეთი — იტალია. ორი დარტყმა, ორი გოლი: ალესანდრო დელ პიერომ (№7) და ფრანჩესკო ტოტიმ ფინელები ორჯერ წაახდინეს

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XII ტური

სპარტაკ-ალანია 0:2 ზენიტი

ჩერნომორეცი 1:0 რუბინი

კრილია სოვეტოვი 0:0 ურალანი

როსტოვი 1:1 დინამო

ლოკომოტივი 2:1 სპარტაკი

სატურნი 4:1 როტორი

## ამხანაგური მატჩები

სამხრეთ კორეა 0:1 არგენტინა

იაპონია 0:0 პარაგვაი

ნიგერია 0:3 ბრაზილია

# ლეითაუნის რბოლა

ირლანდიურ ქალაქ დანდალკის ახლოს, ზღვისპირა ქვიშრობში კოშკებს აგებენ პატარა ლუიზ ტომპსონი და შონ სმიტი. უკან კი გაბმულ თოკს იქით თავგანწირვით მიჭენაობენ მხედრები. ასეთია ლეითაუნ სთრენდის რბოლა, რომელიც ირლანდიაში 1876 წლიდან ტარდება. ასევე, ეს არის ერთადერთი ზღვისპირა რბოლა.





# პირველი დარტყმა

გოლფის ბურთს კაი დადება, ყვანჯს კი საგანგებო დამიზნება სჭირდება. ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. ესპანელი იგნასიო გარიდო მიზანდასახულობით ემზადება თავისი პირველი დარტყმისთვის ბრიტიშ მასტერზის ტურნირზე, ბირმინგემის ახლოს, არდენის ტყეში რომ დაიწყო. ბატისთვის კი სულერთია.



# ახალი ცოლი

„ლიდსის" და სამხრეთ აფრიკის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანმა, ლუკას რადებემ ცოლი შეირთო - მერე რა, რომ ცოლი მეორეა, სამაგიეროდ, ძვირფასია. რადებეს ახალ მეუღლეს ფეზივე ჰქვია და ქორწილიც სოუეტოში, იოჰანესბურგის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბანში იყო. თუმც წყვილს თაფლობა დიდად არ დასცალდება, 14 ივნისს აფრიკელები ტრინიდადის და ტობაგოს ნაკრებს ეთამაშებიან პორტ ელიზაბეტში, ლუკასი კი გუნდს მოედანზე უნდა გაუძღვეს.



# ჩოგბურთის ცქერისას

ლონდონის ქუინზ ქლაბის კორტებზე გამართული ბელგიური ლუდის „სტელა დ არტუას" საჩოგბურთო ტურნირი მიმდინარეობს. კორტზე არიან ბრიტი ტიმ ჰენმანი და იტალიელი დავიდე სანგვინეტი. მაყურებელთა შორის კი ეს სამსახიობო წყვილი გამოირჩევა — ამერიკელი მეტიუ პერი და ინგლისელი მინი დრაივერი.

# მოფრინავენ

ბულგარეთის ადგილ სევლიევოში მოტოკროსის დიდი პრიზის გათამაშება გახურებულა. მოტოკროსი კაი საცქერი რამ არის, რკინის ცხენები ბორცვებიდან მოფრინავენ ხოლმე.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვარტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ ვოვკაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge